ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

ხათუნა ფეტვიაშვილი

ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში მომუშავე სოციალური მუშაკების მიერ დანახული სფეროში არსებული პრობლემები და გამოწვევები.

სოციალური მუშაობა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციალური მუშაობის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნინო შატბერაშვილი,

თსუ-ს სოციალური დაპოლიტიკური

მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი.

თბილისი

2018

ანოტაცია

საქართველოში უამრავი ბავშვია, ძალადობის, უგულვებელყოფის წინაშე, შეიძლება სულაც არ იყოს ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი, მაგრამ მისი ოჯახის მდგომარეობიდან გამომდინარე ის ხდებოდეს ყოველდღიურად ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი ან თუნდაც შესაძლებელია მის ოჯახს სჭირდება გაძლიერება და დახმარება, რათა ბავშვს შეუქმნან ნორმალური საარსებო პირობები და მომავალი. ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში მომუშავე სოციალური მუშაკების ძირითადი მოვალეობა სწორედ ბავშვებზე და მათი ოჯახების გაძლიერებაზე ზრუნვაა.მაგრამ ასრულებენ კი თავიანთ დანიშნულებას ხარისხიანად და შეუფერხებლად?!, როდესაც ერთ სოციალურ მუშაკს ჰყავს ასზე მეტი ბენეფიციარი.პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების მდგომარეობა განსხვავებულია არასამთავრობო და სახელმწიფო სექტორში,შესაბამისად განსხვავდება ბენეფიციარების მდგომარეობაც,რომლებმაც მიმართეს სახელმწიფო სექტორს და რომლებმაც მიმართეს არასამთავრობო სექტორს, რაც არ არის სწორი, რადგან ორივე უნდა თანაბრად ემსახურებოდეს ბავშვთა კეთილდღეობას და არ უნდა იყოს ისეთი განსხვავებები,რითაც ბენეფიციარები დაზიანდებიან. ამ სამაგისტრო ნაშრომის მიზანია დაადგინოს და გამოავლინოს ის სირთულეები და გამოწვევები რომლის წინაშეც დღესდღეობით,ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში მომუშავე პრაქტიკოსი სოციალური მუშაკები ყოველდღიურად დგანან. პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების მდგომარეობის დადგენა, როგორც სახელმწიფო ისე არასამთავრობო სექტორში, სამუშაო პირობებს შორის არსებული განსხვავებები, რომლებიც ხელს უშლით პროფესიული მოვალეობის შესრულებაში, გავიგო პროფესიის განვითარების მათეული ხედვა. გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი სირთულე: სახელმწიფო სექტორშიგამოიკვეთა: ბიუროკრატიული პრობლემები, ძირითადად მხოლოდ ერთ დონეზე მუშაობის პრობლემა, კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, სისტემური ხარვეზები ზეგანაკვეთური სამუშაო და ა.შ ასევე კერძო სექტორში გამოიკვეთა ძირითად სირთულედ ის ფაქტი რომ, ისინი არ არიან ბენეფიციარის ოფიციალური

წარმომადგენლები, რაც სხვადასხვა უწყებებთან თანამშრომლობის დროს უქმნით პრობლემას, ორივე სექტორში ყველაზე დიდ სირთულეს წარმოადგენს სოციალური მუშაკების რაოდენობის სიმცირე, რომელიც პრაქტიკოს სოციალურ მუშაკებს ხელი უშლის ხარისხიანად და ეფექტურად სამუშაოს შესრულებაში, რაც ასევე უარყოფითად მოქმედებს ბენეფიციარების მდგომარეობაზე. რეკომენდაციის სახით საჭიროა: ყველაზე მნიშვნელოვანი, როგორც უკვე ვახსენე კანონპროექტის, რაც შეიძლება მალე მიღება. რაც გამოიწვევს სოციალური მუშაობის ცნების, არსის გაცნობას და მისი მნიშვნელობის გამოკვეთას, პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლება და გადამზადება ეტაპობრივად, სოციალური მუშაკის სპეციალიზაციის, პროფესიული ვალდებულების და უფლებების გამოკვეთა რათა აღარ მოხდეს არევა ან გაუფასურება, პრაქტიკოსი სოციალური მუშაკებისთვის ფინანსური პრობლემების მოგვარება: სამგზავრო ხარჯების შემცირება, ხელფასების გათანაბრება, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება და რაც მთავარია ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

Annotation

There are many children in Georgia those who are neglected by society and those who are facing physical violence. It happens sometimes that even if they are not victims of physical violence they still become victims of psychological violence because of their family conditions or maybe because of the need to strengthen and assist the families in need of better living conditions and future. The main responsibility of social workers, those who are working in child welfare system, is to strengthen living conditions of children and their families.

But are their work smooth and high-quality, while one social worker has more than one hundred beneficiaries?!

The condition of social worker in practice differs between non-governmental and governmental sector, therefore the condition for beneficiaries are accordingly different too. The purpose of this master's thesis is to identify and reveal the difficulties and challenges faced by the social workers' those who are working in child welfare system on a daily basis in both governmental and non-governmental sectors, also to determine the general condition of their work and to find the differences between working conditions that prevent execution of their professional duties. Despite the fields mentioned above, we also have to understand the vision of social workers, how they see the development of the profession Some major difficulties that have already been identified are the following: Bureaucratic problems, that entail mainly working on one level,Lack of qualified personnel,Systemic flaws,Overtime work and etc. In the private sector, the main difficulty is the fact that the social workers are not the official representatives of the beneficiary, this creates problem in cooperation with various agencies. One more difficulty faced in both sectors is the lack of social workforce that prevents social workers in practice to perform high quality and efficient work. This of course negatively affects the condition of the beneficiaries. As a recommendation, it is necessary to note: Development of the law project as soon as possible which will lead to the acquisition of the concept of social work, its essence and its significance, To enhance the qualification and retraining of social workers in practice step by step, Also to define

the specialization,professional liability and rights in order to no longer be disturbed or impaired, To resolve financial problems for social workers in practice, those who are working in child welfare system, as it is follow: Reduction of travel expenses,Equalization in Salary, reimbursement from overtime work and most important is provision of transport.

სარჩევი

ანოტაცია 2

Annotation 4

სარჩევი 6

შესავალი 7

ლიტერატურის მიმოხილვა 10

სოციალური მუშაობა საქართველოში. 12

კვლევის საგანი 20

კვლევის ობიექტი 20

კვლევის მიზანი 20

კვლევის ამოცანები 21

კვლევის მეთოდოლოგია 21

კვლევის შედეგების ანალიზი 23

რამდენად მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკის როლი ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში 23

პროფესიული განათლების დეფიციტი. 26

ყოველდღიურ სამუშაო გარემოში არსებული პრობლემები 28

პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების რეკომენდაციები 35

დასკვნა და რეკომენდაციები 38

გამოყენებული ლიტერატურა 45

დანართი 49

შესავალი

სოციალური სამუშაო, არის პროფესია, რომელიც ხელს უწყობს ინდივიდის, ჯგუფის და თემის სოციალური ფუნქციონირების ამაღლებას და მიზნად ისახავს საზოგადოებაში ისეთი პირობების შექმნას, რომელიც მათ თავიანთი პოტენციალის სრული რეალიზაციის საშუალებას მისცემს. (საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, 2006), შესაბამისად სოციალური მუშაკები არიან ადამიანები ვისაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი მიუძღვით ადამიანების ცხოვრების მდგომარეობის გაუმჯობესებაში და ამ პროფესიის განვითარების პერსპექტივებზეა დამოკიდებული ქვეყნის სამომავლო პოლიტიკა და მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროფესია უკვე რამდენიმე საუკუნეა არსებობს, საქართველოში არცთუ ისე ბევრი სოციალური მუშაკია, დღესდღეობით სულ 800 სოცილური მუშაკია, აქედან 300 კერძო სექტორშია დასაქმებული ხოლო 500 სახელმწიფო სექტორში. სახელმწიფო სოციალური მომსახურების სააგენტოში მომუშავე სოციალურ მუშაკების რაოდენობა აღემატება ყველა სხვა სფეროს, აქ საერთო რაოდენობა სოციალური მუშაკების 268 ადამიანია. (საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, 2017, p. 7)



სახელმწიფოში კერძოდ სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოში დასაქმებულია სულ 18 უფროსი სოციალური მუშაკი და 217 სოციალური მუშაკი*(საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო)*[1]

[1] 2018 წლის 27 ივნისის N61866 განცხადება. (იხ. დანართი 2)

სოციალურ მუშაკებს დღესდღეობით მრავალი როლის შეთავსება უწევთ კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, რომ დაეხმარნონ ბენეფიციარს, ითავსებენ კონსულტანტის, მრჩევლის როლს - რომელიც ეხმარება თითოეულ ადამიანს პირადი საკითხების მოგვარებაში, ის ასევე ხშირად ითავსებს ადვოკატის როლს, რომელიც ეხმარება ღარიბებს და სოციალურად დაუცველებს, ითავსებს პარტნიორის,გვერდში მდგომის როლს, რომელიც დაუცველ პირებთან ან ჯგუფებთნ ერთად მუშაობს არსებული პრობლემების გადასაჭრელად, ის ეხმარება რისკების და საჭიროებების შეფასებისას, ასევე ითავსებს სოციალური კონტროლის აგენტის როლს, რომელიც ეხმარება სოციალურ სისტემის შენარჩუნებაში ისეთ ადამიანებს რომელთა ქცევაც არის პრობლემატური (Waterhouse.L, Asquith.S, Dr Chris Clark , 2005). რადგანაც ასეთი მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკის საქმე,საჭიროა დადგინდეს და აღმოიფხვრას ის პრობლემები, რომლებიც მათ ხელს უშლიან საკუთარი სამუშაოს სრულფასოვნად შესრულებაში. ერთ-ერთი საკითხი, რომელსაც დღესდღეობით სოციალური მუშაკები პრობლემატურად თვლიან არის გაბატონებული მოსაზრება, რომ მიკრო დონეზე მუშაობა მეტად შეეფერება სოციალური მუშაობის მანდატს. ისინი ჯერ ვერ გვევლინებიან ამ პრობლემის გამო ცვლილებების აგენტებად. (საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, 2011) საქართველოში სოციალურ სამუშაოს პრაქტიკის განვითარება პირველყოვლისა სოციალურად დაუცველი ბავშვების დახმარების საკითხს უკავშირდება. (ნამიჭეიშვილი სალომე, 2010)

შესაბამისად, ჩემი აზრით, ეს არის სფერო, რომელიც ყველაზე მეტ ინფორმაციას მოიცავს პრაქტიკოსი სოციალური მუშაკის ყოველდღიურ პრობლემებზე და გამოწვევებზე ამიტომ ჩემი სადიპლომო ნაშრომი ეხება ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში მომუშავე სოციალური მუშაკებს, მათ პრობლემებს და გამოწვევებს.

სადიპლომო ნაშრომის მიზანია, ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში, როგორც სახელმწიფო ისე კერძო სექტორში მომუშავე პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების სირთულეების და გამოწვევების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, მათი სამუშაოს ზოგადი

მდგომარეობის დადგენა, სამუშაო პირობებს შორის არსებული განსხვავებები, ის პრობლემები და სირთულეები, რომლებსაც სამუშაო პრაქტიკიდან გამომდინარე აწყდებიან და ხელს უშლით პროფესიური მოვალეობის შესრულებაში, წარმოვადგინო თუ რა პრობლემებს ხვდებიან მაკრო, მიკრო და მეზო დონეზე, გავიგო პროფესიის განვითარების მათეული ხედვა. ეს ყოველივე მოგვცემს საშუალებას სრულყოფილად დავინახოთ თუ როგორ პირობებში უწევთ მუშაობა, რა ფაქტორები უშლით ხელს სამუშაოს სრულფასოვნად შესრულებაში, რა გამოწვევების წინაშე დგანან ყოველდღიურად, რას მოითხოვენ ბენეფიციარები მათგან და რა მოლოდინები აქვთ ბენეფიციარებს. შევძლოთ ამ პრობლემების სამომავლოდ მოგვარება, რათა სრულფასოვნად შეძლოს სოციალურმა მუშაკმა პროფესიული მოვალეობის შესრულება სხვადასხვა დონეზე, ბენეფიციარების დაკავშირება ნებისმიერ მათთვის საჭირო მომსახურებებთან და ახალი ცვლილებების შეტანა სფეროს განვითარებისთვის, რადგან მათი სრულფასოვანი მუშაობა ძალზედ მნიშვნელოვანია სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერისა და გაძლიერებისთვის.

ლიტერატურის მიმოხილვა

სოციალური მუშაობა, როგორც პროფესია პირველად და ოფიციალურად მე-19 საუკუნეში ამერიკის შეერთებულ შტატებსა და გაერთიანებულ სამეფოში წარმოიშვა.ეს გამოწვეული იყო ფეოდალიზმის დაშლით, რადგან ამ პერიოდში სიღარიბეში მყოფი ადამიანები სოციალური წესრიგის უშუალო საფრთხედ განიხილებოდნენ და მთავრობამ მათ წინააღმდეგ შექმნა ცუდი კანონი რათა უზრუნველეყო მათზე ზრუნვა. (What is the History of the social work) მიუხედავად იმისა, რომ უფრო და უფრო ვითარდებოდა სოციალური მუშაობა, თავდაპირველად მას არ მიიჩნევდნენ პროფესიად, ძირითადად მას როგორც პროფესიას აკრიტიკებდა აბრაამ ფლექსნერი(1915), რომლის აზრითაც, მას არ ჰქონდა კონკრეტული გამოყენების თეორიული ცოდნა ადამიანის საკითხების გადაწყვეტაში. ის აყენებდა საკითს იყო თუ არა ეს სამუდამო პროფესია ადამიანისთვის, რომელიც მას განავითარებდა და თვით პროფესიაც განავითარებდა თუ ეს იყო უბრალოდ სამოყვარულო საქმე ისეთი, როგორიც შეიძლება იყოს ექთნობა, კალათბურთის თამაში, რომელსაც რაღაც დროის და საჭიროებების გამო ემსახურება ადამიანი. (Flexner, 1915), მაგრამ უკვე 1955 წლისთვის შეიქმნა სოციალურ მუშაკთა ეროვნული ასოციაცია, რომელმაც ხელი შეუწყო პროფესიულ განვითარებას, სოციალურ პოლიტიკას, საგანმანათლებლო შესაძლებლობების გაზრდას და პრაქტიკის პროგესიული სტანდარტების შენარჩუნებას. ის არის მსოფლიოში ყველაზე დიდი სოციალური მუშაკთა ორგანიზაცია, რომელსაც 120000-ზე მეტი წევრი ჰყავს. NASWხელს უწყობს მისი წევრების პროფესიულ ზრდას და განვითარებას, რათა შექმნან პროფესიული სტანდარტები და შეინარჩუნონ და გააღრმაონ ჯანსაღი სოციალური პოლიტიკა. (National Association of Social Workers History) NASW-მა შექმნა და განავითარა ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში საუკეთესო პრაქტიკა 1981 წელს. რადგან შეექმნა და ფორმულირება მოეხდინა სოციალური მუშაობის სტანდარტების, რომლებიც არის ძალიან მნიშვნელოვანი და სასარგებლო, ეს სტანდარტები მნიშვნელოვანია, რადგან ისინი გავლენას ახდენენ სერვისებზე, ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში სოციალური სამუშაოს პრაქტიკაზე და პოლიტიკაზე, ასევე სტანდარტები არის ყველაფრის საფუძველი. ეს სტანდარტები მდგომარეობს შემდეგში:

პირველი სტანდარტი ეს არის ეთიკა და ღირებულებები, რომლებსაც უნდა მისდიოს ყველა სოციალურმა მუშაკმა, რომლებიც არიან ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში, მეორე სტანდარტი მოიცავს კვალიფიკაციას, ცოდნას და პრაქტიკულ მოთხოვნებს. ეს მნიშვნელოვანია ბავშვთა კეთილდღეობაში მომუშავე სოციალური მუშაკისთვის, რადგან მათ უნდა იცოდნენ კანონების, წესების და თეორიების შესახებ, უნდა ჰქონდეთ მაღალი კვალიფიკაცია და პროფესიული ცოდნა,რათა უკეთ დაეხმარონ ბავშვს, ახალგაზრდას და მათ ოჯახებს. მესამეაპროფესიული განვითარება- რადგან, პროფესიული უნარების და ცოდნის განვითარება და შენება სოციალურ მუშაკებს ეხმარება ყველაზე აქტუალური, მომგებიანი და კულტურულად შესაფერისი მომსახურება შესთავაზონ ბავშვებს, ახალგაზრდებს და მათ ოჯახებს, რომლებიც ჩართულები არიან ბავშვთა კეთილდღეობის პროგრამაში. მეოთხე სტანდარტი ეხება ადვოკატირებას - ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში მომუშავე სოციალური მუშაკები ცდილობენ რესურსების და სისტემის რეფორმების ადვოკატირებას, რათა გააუმჯობესონ ბავშვების, ოჯახების და ახალგაზრდების მდგომარეობა, ასევე ისინი ეხმარებიან მათ საკუთარი თავის ადვოკატირებაში და დაცვაში. მეხუთე სტანდარტი, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს სოციალური მუშაკი ეს არის თანამშრომლობა, მათ უნდა ხელი შეუწყონ ინტერდისციპლინარულ თანამშრომლობას, რათა მოხდეს ბავშვების, ოჯახების და ახალგაზრდების მიმართ მხარდაჭერა და გაუმჯობესება არსებული მდგომარეობის. მეექვსე სტანდარტი ეხება კონფიდენციალური ინფორმაციის შენახვას და დაცვას, მეშვიდე ეს არის კულტურული კომპეტენცია, სოციალური მუშაკები უზრუნველყოფენ ოჯახების მომსახურებას კულტურული კონტექსტის ფარგლებში.მერვე და მეცხრე სტანდარტები მოიცავს შეფასების და ინტერვენციის საფეხურებს, ხოლო მეათე ეს არის ოჯახში ჩართულობა, გულისხმობს სოციალური მუშაკების ოჯახებში ინტერვენციას და მათთან ერთად გაერთიანებული ძალისხმევითპრობლემის მოგვარებას. მეთერთმეტე საფეხური ეს არის ახალგაზრდების ჩართულობა, მათი მომზადება დღის ცენტრისთვის ან მინდობით აღზრდაში გადასაყვანად. მეთორმეტე ეს არის მუდმივი დაგეგმვა, რომელიც ეხება იმ ახალგაზრდების დაბრუნებას სახლში ან მინდობით ოჯახებში რომლებიც, არიან

ძალადობის მსხვერპლნი და ბოლოს მნიშვნელოვანია მეცამეტე და მეთოთხმეტე საფეხურები, რომლებიც მოიცავს სუპერვიზიას და ადმინისტრირებას, მათ უნდა ხელი შეუწყონ, რომ სოციალურმა მუშაკებმა შეძლონ თავიაანთი პროფესიული მოვალეობების შესრულება, მოახდინონ მათზე ადეკვატური ზედამხედველობა და სამართლებრივი დაცვა. (Day.K, Harpe.C, C. D. Weisner, 2013, pp. 12-24)

სოციალური მუშაობა საქართველოში.

საქართველოს სოციალური მუშაობის ისტორია არც ისე დიდია, სოციალური მუშაობის განვითარება საქართველოში დეინსტიტუციონალიზაციის პოლიტიკას უკავშირდება, საბჭოთა კავშირის ნგრევის შედეგად სახელმწიფო მოხელეებმა გაანალიზეს დიდი ზომის სააღმზრდელო დაწესებულებების უარყოფითი ზეგავლენა ბავშვის განვითარებაზე, რის გამოც დაიწყო ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული ფორმების შემუშავება, უკვე 1999 წელს კი საქართველომ მიიღო შვილობლობის შესახებ კანონი, რომლის აღსრულებისთვისაც საჭირო იყო სოციალური მუშაკის ინსტიტუტის დანერგვა, რაც გახდა საწყისი საქართველოში სოციალური მუშაობის დანერგვის, სოციალური მუშაობის პროფესიულად განვითარებაში ასევე დიდი როლი აქვს ასოციაციის დამაარსებლებს, რომლებიც იყვნენ: ნიუ-იორკის, კოლუმბიისა და სენტ-ლუისის უნივერსიტეტის სამაგისტროს კურსდამთავრებულები. ასოციაციას დიდი წვლილი მიუძღვის სოციალური სამუშაოს სხვადასხვა მიმართულების განვითარებაშიც. (საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, 2011).

სოციალური მუშაობის ცნების დანერგვის საქმეში უდიდესი წვლილი ბრიტანულ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციას, EveryChild-ს ეკუთვნის. აღნიშნულმა ორგანიზაციამ ბავშვზე ზრუნვის სფეროში სოციალური მუშაობის პრაქტიკა დანერგა და შეიმუშავა ბავშვებსა და ოჯახებთან მომუშავე სოციალური მუშაკების გადამზადების პირველი მოდელი. 2001 წელს საქართველოს მთავრობამ გაეროს ბავშვთა ფონდისა და ,EveryChild”-ის მხარდაჭერით ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში სოციალური მუშაობის პრაქტიკას ჩაუყარა საფუძველი. სოციალური მუშაობის პრაქტიკა სხვადასხვა სფეროში

ეტაპობრივად ინერგებოდა და დღეს მნიშვნელოვან სფეროებშიადამკვიდრებული. მაგალითად: არასრულწლოვანთა სამართალი, ძალადობა, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობა და ასე შემდეგ. (ნამიჭეიშვილი სალომე, 2010). ამ სფეროებში დასაქმებული სოციალური მუშაკების რაოდენობა, სოციალური მუშაობის პროფესიული რეგულირების კონცეფციის მიხედვით არის 800-ზე მეტი ადამიანი სახელმწიფო სექტორის მიერ, ხოლო 300 არასამთავრობო სექტორის მიერ. (საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, 2017, p. 7).

სფეროს განვითარებისას ასევე აღსანიშნავია ფონდი ,,ღია საზოგადოება საქართველოს'' სოციალური მუშაობის განვითარების მხარდაჭერის პროგრამა, რომელმაც მოქმედება 2001 წლიდან დაიწყო და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პირველ სოციალურ მუშაკთა პროფესიულ გადამზადებაში.

პროგრამის ფარგლებში პროფესიის შესწავლა კოლუმბიისა და ვაშინგტონის უნივერსიტეტებში განხორციელდა და შედეგად, 2004 წელს აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულებმა საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია დააარსეს. რაც შეეხება აკადემიურ სფეროს, 2005-2006 წლებიდან უმაღლეს სასწავლებლებში სოციალური მუშაობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სწავლება დაიწყო. (ნამიჭეიშვილი სალომე, 2010).

სოციალური მუშაობის პრაქტიკა დაფუძნებულია გარკვეულ ფილოსოფიურ კონცეპტებზე. იგი მოიცავს 6 ურთიერთდამაკავშირებელ ღირებულებას. სოციალური მუშაობა არ არის მხოლოდ იმ საზოგადოებაში პრაქტიკა, რომელშიც ეს ღირებულებებია მიღებული. მნიშვნელოვანია გავარჩიოთ თავად სოციალური მუშაობის ღირებულებები და რომელიმე კონკრეტული საზოგადოების ღირებულებები. ეს ღირებულებები მოიცავს შემდეგს: თითოეული ადამიანი უნიკალური და განსხვავებულია, ჩვენ გვაქვს სოციალური პასუხისმგებლობა სხვა დანარჩენზე, დემოკრატიულობა, ანტიეთნოცენტრიზმი და ა. შ. სოციალურ მუშაობას აქვს ღირებულებები, მიზანი, სანქცია, ცოდნა, მეთოდი. მისი მიზანია მაქსიმალურად შეძლოს ინდივიდის,ჯგუფის თუ კომუნის გაძლიერება და მათი

პოტენციალის რეალიზება. პრაქტიკა შესაძლოა სამ განსხვავებულ დონეზე განახორციელოს. ესენია: სამთავრობო სააგენტოები, არასამთავრობო სააგენტოები და მოხალისეობრივი სააგენტოები.სოციალური მუშაობის ცოდნა მრავალფეროვანი და ვრცელია. ის შეიძლება მოიცავდეს ინდივიდებს ან ჯგუფებს შორის ინტერაქციას, ფსიქოლოგიას, სოციალური ნიშნების ეფექტებს და ასე შემდეგ. (Ed Risler, 2003).

სოციალური მუშაობა არის "ცხოვრების შემცვლელი", ცვლილებების მომხდენი, ადამიანისა და საზოგადოების გაძლიების პროფესია. (Chandrika.K.B., 2015), შესაბამისად მისი განვითარება არის,ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი შემდგომი უკეთესი მომავლისთვის. უნდა აღინიშნოს რომ, სოციალური სამუშაო საქართველოში ახალბედა პროფესიაა. მიუხედავად იმისა,რომ სხვადასხვა სფეროებში სოციალურმა მუშაობამ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია, მაინც არის სფეროები, სადაც რთულადაა მდგომარეობა. მაგალითად: განათლების სფეროში, კერძოდ კი სასკოლო და წინასასკოლო სწავლების სისტემაში კვლავ დგას სოციალური მუშაობის როლის გაუაზრებლობის პრობლემა. ასევე არ არის აღიარებული სოციალური მუშაკის საჭიროება შინაგან საქმეთა სამინისტროში. უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილების მიმღებ ადმინისტრაციულ პოზიციებზე სოციალური მუშაკების სიმცირეა. (საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, 2011, pp. 53-56). ნებისმიერ სფეროში ამ პროფესიის დასამკვიდრებლად და ბავშვთა კეთილდღეობის ასამაღლებლად საჭიროა ცვლილებები, რომლებიცპირველ რიგში თავად სოციალურ მუშაობასაც სჭირდებათ, იმისათვის რომ უპასუხოს დღევანდელ საზოგადოებაში არსებულ გამოწვევებს. პრაქტიკოსებმა უნდა გაანალიზონ, რომ მათ ხელი უნდა შეუწყონ მაღალი ხარისხის სერვისების შექმნას, ასევე სერვისებისა და რესურსების სწორად ორგანიზებას, გადანაწილებასა და მიწოდებას. ეს მნიშვნელოვანია, რათა პროფესიამ წვლილი შეიტანოს კეთილდღეობის გაუმჯობესებაში, ბავშვებისა და საზოგადოების კარგად ყოფნაში. (Roe.W, 2006). მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია პირველ რიგში დავადგინოთ რა ფაქტორები უშლის ხელს პროფესიის განვითარებას, პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების მუშაობას, მათ ჩართულობას სამომავლო წინსვლაში. ეს კვლევა დაგვეხმარება ამ სირთულეების

დანახვაში და მოგვცემს საშუალებას შემდგომ მოვაგვაროთ ისინი და გავაუმჯობესოთ, სოციალური სამუშაოს წარმართვის და მიმდინარეობის შესწავლა ძალზე მნიშვნელოვანია ზოგადად სოციალური მუშაობისა და მუშაკების შრომის გასაუმჯობესებლად. სოციალური მუშაობის პრაქტიკის მრავალი ასპექტი ხელს უწყობს პრაქტიკოსების მდგომარეობასა და კეთილდღეობას. სამუშაო პირობების გაუმჯობესება ხელს უწყობს, როგორც სერვისის მიწოდების ხარისხს, ასევე პრაქტიკოსთა გადატვირთვისა და შესაბამისად, მათი, როგორც მიმწოდებლების ხარისხის ზრდას. (Shier. L.M., 2015).

დღესდღეობით საქართველო იმ ქვეყნებს შორისაა, რომლებსაც სოციალური მუშაკებისათვის სტანდარტული კვალიფიკაციის მოთხოვნები არ გააჩნიათ. სამწუხაროდ, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის (GASW) და სხვა მრავალი წამყვანი სუბიექტის გრძელვადიანი ძალისხმევის მიუხედავად, სოციალური მუშახელის რეგისტრაციისა და ლიცენზირების, კვალიფიკაციის მოთხოვნების, პროფესიული სტანდარტებისა და კიდევ მრავალი სხვა პრობლემა გადაუჭრელია. რეგიონის ქვეყნებში არ არის მკაფიოდ განსაზღვრული ჩარჩო, რომელიც ეხება სოციალური სამუშაოსათვის მონაცემთა შეგროვებას, ისევე როგორც ამ მონაცემების დამუშავებასა და განხორციელებას.

ამ პრობლემური საკითხებიდან გამომდინარე, სოციალური მომსახურების სააგენტომ შექმნა „სოციალური მუშაობის პროფესიული რეგულირების კონცეფცია'', რომელშიც განხილულია ყველა ის საკითხი,რომელიც დღესდღეობით საკმაოდ პრობლემატურია. ამ დოკუმენტის მიზანია წარმოადგინოს საქართველოს სოციალურმუშაკთა ასოციაციის ხედვა საქართველოში სოციალური მუშაობის პროფესიისრეგულირების შესახებ. მასში მოცემულია სავარაუდო სქემა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია პროფესიის ბაზისური რეგულირება. პროფესიის რეგულირების წინამდებარე კონცეფცია შედგება შემდეგი საკითხებისაგან:

- პროფესიის დეფინიცია.
- აკადემიური ხარისხის მინიმალური მოთხოვნა სოციალურ მუშაობაში.

- პრაქტიკის შემოთავაზებული სტანდარტი.
- შემოთავაზებული საკანონმდებლო ცვლილებები.
- პროფესიული რეგულირების საკითხში ჩართული უწყებები.
- პროფესიის რეგულირების სქემა და დროითი ჩარჩო.(საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, 2017, p. 15).

ეს კონცეფცია დაეხმარება როგორც სფეროს განვითრებაში, ასევე სახელმწფოს, სოციალური მუშობის, როგორც პროფესიის უკეთ გააზრებაში.

ზოგიერთ ქვეყანას გააჩნია ინფორმაცია სახელმწიფოს შრომის სოციალური მუშაკების საშუალო დატვირთვის შესახებ (ინფორმაცია თუ რა რაოდენობის აქტიური სამუშაო არსებობს). მხოლოდ რამდენიმე ქვეყანა ფლობს ინფორმაციას მის სახელმწიფოში ბავშვის კეთილდღეობის სოციალური მუშაკების არსებული საშუალო დატვირთვისა და აქტიური სამუშაოს შესახებ.

კვლევის ანალიზიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სოციალური მუშაკების დატვირთვა 150-დან 200 აქტიურ შემთხვევამდეა, რაც, ძირითადად, დედაქალაქის გარეთ მდებარე ურბანულ და სოფლის დასახლებებში მოდის. მონაცემები გვიჩვენებს, რომ საქართველოში ბავშვთა კეთილდღეობის სოციალური მუშაკების საშუალო დატვირთვა დაახლოებით 88 შემთხვევაა. სოციალური მუშაკების სამუშაო დატვითვის დარეგულირება და პერსონალის ადეკვატური რაოდენობის დასაქმება არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს მათი შესრულების ხარისხზე. ეს განსაკუთრებით ეხება დისტანციურ ადგილებს, სადაც გასვლითი სამუშაოები და საოჯახო ვიზიტები მოითხოვენ ტრანსპორტის საშუალებებს ხანგრძლივი მანძილის გამო. (Partshakadze.N, 2017, p. 59).

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ 2011 წელს განხორციელებული კვლევის მიხედვით ასევე ირკვევა, რომ სამთავრობო სფეროში მომუშავე სოციალური მუშაკები უფრო დატვირთულები და პროფესიული საქმიანობის შესრულებაში უფრო

მეტად შებოჭილები არიან. არასამთავრობო სფეროში მომუშავე კოლეგებისგან განსხვავებით, ისინი თავს უფრო დაუფასებლად გრძნობენ. ასევე სოციალური მუშაკების სიმცირის და სამუშო პირობების შესახებ სიტუაციურ ანალიზის კვლევა სოციალურ სააგენტოში დასაქმებულ სოციალურ მუშაკთა შრომის პირობებთან დაკავშირებით გვიჩვენებს, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოში არსებული რთული სამუშაო პირობები, სოციალური მუშაკების სიმცირის გათვალისწინებით, უარყოფითად აისახება სოციალური მუშაობის ხარისხზე, რაც ასუსტებს ქვეყნის სოციალური პოლიტიკის ეფექტიან აღსრულებას და აკნინებს სოციალური მუშაობის როლსა და მნიშვნელობას, ამასთან არსებული პრობლემები სოციალური მომსახურების სააგენტოს არასასურველ დასაქმების ადგილად აქცევს, რაც სოციალური მუშაკების სისტემიდან მუდმივ გადინებასა და სააგენტოში კვალიფიციური სოციალური მუშაკების დასაქმების და შენარჩუნების სირთულეში გამოიხატება, სოციალურ მუშაკთა 75% თავისი ნებით ტოვებს სამუშაოს. რაც აზიანებს სოციალური მუშაობის მდგრადი გაძლიერების პროცესს და აბრკოლებს ეფექტიანი სისტემის განვითარებას. მაგალითად საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 9 მარტის N04/14006 კორესპონდენციის მიხედვით:„2012-2017 წლებში (2017 წლის 9 მარტის მდგომარეობით) სულ სოციალური მუშაკის პოზიციიდან გათავისუფლდა 93 უფროსი სოციალური მუშაკი და სოციალური მუშაკი,ხოლო ამათგან 78-მა თანამდებობა დატოვა პირადი განცხადების საფუძველზე, ხოლო 15 შემთხვევაში შრომითი ურთიერთობა შეწყდა სხვა საფუძველით. “

სიტუაციური ანალიზის კვლევაში ასევე განხილულია ის პრობლემები, რომლებიც სოციალურ მუშაკს ხელს უშლის სოციალურ მუშაკთათვის პროფესიული მოვალეობის შესრულებაში: სოციალურ მუშაკთა 23, 8 პროცენტის აზრით, მათთვის პროფესიული მოვალეობის შესრულებაში ხელისშემშლელია გაბატონებული მოსაზრება, რომ მიკრო დონეზე მუშაობა მეტად შეეფერება სოციალურ მუშაობის მანდატს; 23 პროცენტისთვის რისკი იმისა, რომცვლილებების მოთხოვნა შეასუსტებს მათ პოზიციას დასაქმების

ადგილას; 18 პროცენტისთვის ორგანიზაციული მანდატი; 11, 5 პროცენტისთვის ცოდნის უკმარისობა; 45, 9 პროცენტისთვის დიდძალი დოკუმენტაციის წარმოება; 26, 2 პროცენტისთვის დროის სიმწირე; 13, 9 პროცენტისთვის გამოცდილების უკმარისობა. ამასთან უპირატესობის წესის დაცვით მეტად ეფექტიანი პრაქტიკის განხორციელება 68, 9 პროცენტის მონაცემებით მიკრო დონეზეა შესაძლებელი, 30, 3 პროცენტის აზრით მეზო დონეზე და 47, 5 პროცენტის აზრით, მაკრო დონეზე. ყველაზე არაეფექტიანი პრაქტიკის განხორციელება კი 7, 4 პროცენტის აზრით მიკრო დონეზეა შესაძლებელი, 14, 8 პროცენტის აზრით მეზო დონეზე, და 25, 4 პროცენტის აზრით მაკრო დონეზე. მაღალი პროცენტი აიღო ხელისშემშლელ ფაქტორად ასევე დიდძალი დოკუმენტაციის წარმოებამ, დროის სიმწირემ და გამოცდილების უკმარისობამ. (საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, 2011, p. 28)

ასევე მსგავსი პრობლემებია ასახული მომდევნო კვლევაში სადაც ასევე ნახსენებია რომ ძირითად პრობლემას წარმოადგენს მათი სამუშაოს მოცულობა, რაც იწვევს სოციალურ მუშაკთა განსაკუთრებულ გადატვირთვას. სამუშაოს დიდი მოცულობიდან გამომდინარე, სოციალური მუშაკები რეალურად ვერ ახერხებენ დაკისრებული ფუნქციების სრულყოფილად და დროულად შესრულებას, რაზეც ნეგატიურ ზეგავლენას მათი რაოდენობრივი სიმცირე ახდენს. შესაბამისად, სოციალური მუშაკებისათვის დაკისრებულ ფუნქციათა სიმრავლე განსაკუთრებით პრობლემური მათი რაოდენობრივი სიმცირის ფონზე ხდება, რაც მეტად აქტუალურია რეგიონების შემთხვევაში, რამდენადაც სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოს რაიონულ განყოფილებებს ხშირად მხოლოდ ერთი სოციალური მუშაკი ჰყავთ, ამასთან, არის შემთხვევები, როდესაც ტერიტორიულ ერთეულს არ ემსახურება არც ერთი სოციალური მუშაკი (სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშაკთა შრომითი პირობები და გამოწვევები, 2017).

კვლევამ აჩვენა, რომ სოციალური მუშაკებისათვის დაკისრებული სამუშაოს ხარისხიანი შესრულების დამაბრკოლებელი გარემოებაა მათი განსაკუთრებული გადატვირთულობა, რაც სამუშაოს აღწერილობის დიდ და უკონტროლო მოცულობაში,

სოციალური მუშაკების რაოდენობრივ სიმცირეში, ტექნიკური და ბიუროკრატიული სამუშაოს სიდიდესა და ზეგანაკვეთური სამუშაოს მუდმივ საჭიროებაში გამოიხატება. (სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშაკთა შრომითი პირობები და გამოწვევები, 2017).

გამომდინარე აქედან ცხადია, რომ ერთის მხრივ, სოციალური მუშაობა ერთ-ერთი მოთხოვნადი და მზარდი პროფესიაა კონკრეტულ სფეროებში, მეორეს მხრივ, ზოგიერთ სფეროში მისი საჭიროებისა და როლის გაუაზრებლობის საკითხი დგას. ასევე განსხვავებული მდგომარეობაა სამთავრობო და არასამთავრობო სფეროებში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია შევისწავლოთ სოციალური მუშაკების სამუშაო პირობები და გარემო, ის სირთულეები და გამოწვევები, რომლებსაც ყოველღიურად აწყდებიან სამუშაო ადგილზე.

კვლევის საგანი

კვლევის საგანს წარმოადგენს, ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში არსებული პრობლემების და გამოწვევების შესწავლა, ამ თემის შესწავლა მნიშვნელოვანია, რადგან რეალურად დღეს არასრულწლოვანი ბავშვები, არაერთი რისკის წინაშე დგანან, მათ შორის სიღარიბე, ძალადობა, დანაშაულებრივი ქცევა, ქუჩაში ცხოვრება და მუშაობა, ხშირად ირღვევა მათი ფუნდამენტური უფლებები, ხოლო სოციალური მუშაკის ხარისხიანი ჩართულობა მნიშვნელოვნად ამცირებს აღნიშნულ რისკებს, სოციალური მუშაკს ხარისხიან მუშაობაში ხელს სხვადასხვა ფაქტორები უშლის, ამიტომ მნიშვნელოვანია ამ ფაქტორების გამოვლენა და მათი მოგვარება, რათა სოციალურ მუშაკს დარჩეს დრო პრაქტიკული და სიღრმისეული მუშაობა გაწიოს თითოეულ ბენეფიციართან.

კვლევის ობიექტი

კვლევის ობიექტს წარმოადგენს ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში მომუშავე პრაქტიკოსი სოციალური მუშაკები, რომლებიც დასაქმებულები არიან როგორც არასამთავრობო, ასევე სახელმწიფო სექტორში.

კვლევის მიზანი

ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში, როგორც სახელმწიფო ისე არასამთავრობო სექტორში მომუშავე პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების სირთულეების და გამოწვევების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, სამუშაო პირობებს შორის არსებული განსხვავებები, ის პრობლემები და სირთულეები, რომლებსაც სამუშაო პრაქტიკიდან გამომდინარე აწყდებიან და ხელს უშლით პროფესიური მოვალეობის შესრულებაში, გავიგო პროფესიის განვითარების მათეული ხედვა.

კვლევის ამოცანები

- რა პრობლემებს აწყდებიან ყოველდღიურად სოციალური მუშაკები.
- ასრულებენ თუ არა სრულფასოვნად და თავისუფლად პროფესიულ მოვალეობას.
- რა სისტემურ ხარვეზებს ხედავენ პრაქტიკოსი სოციალური მუშაკები ყოველდღიურად.
- რა ცვლილებების დანერგვას საჭიროებს სფერო პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების გადმოსახედიდან.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებული იყო არაალბათურიშერჩევა. ამ შემთხვევაში კვლევაში ჩართული იყვნენ ბავშვთა სფეროში მომუშავე პრაქტიკოსი სოციალური მუშაკები, როგორც არასამთავრობო, ისე სახელმწიფო სექტორში დასაქმებულები. კვლევაში გამოყენებული იყო თვისებრივი მეთოდის კვლევითი ტექნიკა, კერძოდ- სიღრმისეული ინტერვიუ, რომელიც თვისებრივი კვლევის ერთ-ერთი "სავიზიტო ბარათია", ის ძალზე განსხვავებულ ტიპს წარმოადგენს და ე.წ. ნაწილობრივ სტრუქტურირებული ინტერვიუების რიცხვს განეკუთვნება, ანუ იკავებს შუალედურ პოზიციას სტრუქტურირებულ და არასტრუქტურირებულ ინტერვიუებს შორის. ამ მეთოდს აერთიანებს ის გარემოება, რომ ის მიზნად ისახავს რესპონდენტებისაგან დეტალური, ღრმა და თანამიმდევრული ინფორმაციის მიღებას მათი გამოცდილების შესახებ, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება გარკვეული საზოგადოებრივი კანონზომიერებების დადგენა, ზოგ შემთხვევაში კი — საერთო ხასიათის დასკვნების გაკეთება.(ზურაბიშვილი, 2006, p. 16).

კვლევაში ჩართული იყო ორი ჯგუფი: ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში, კერძოდ არასამთავრობო სექტორში დასაქმებული პრაქტიკოსი სოციალური მუშაკები და პრაქტიკოსი სოციალური მუშაკები, რომლებიც დასაქმებულნი არიან სახელმწიფო სექტორში, რადგან კვლევის მიზნიდან გამომდინარე გვჭირდებოდა გამოგვეკითხა

პრაქტიკოსი სოციალური მუშაკები და დაგვედგინა ის ყოველდღიური პრობლემები და გამოწვევები რის წინაშეც ისინი დგანან, ასევე განსხვავებები არასამთავრობო და სახელმწიფო სექტორში მომუშვე პრაქტიკოს სოციალურ მუშკებს შორის და მათ მიერ დანახული პრობლემის მოგვარების გზები.

პრაქტიკოს სოციალურ მუშაკებთან ინტერვიუები ჩატარდა ამა წლის მაისის თვეში, ქ. თბილისში. სულ გამოიკითხა 15 რესპონდენტი.სოციალურ მუშაკებთან ინტერვიუს ხანგრძლივობა იყო 30 წუთიდან 40 წუთამდე, მათთან ინტერვიუ ჩატარდა კონფიდენციალურ გარემოში.

თვისებრივი მასალა დამუშავდა, აუდიო მასალის ტრანსკრიპტების ანალიზის შედეგად, შემდეგ მოხდა მათი კოდირება და გაანალიზება.

კვლევის შეზღუდვად შესაძლოა ჩავთვალოთ,რომ ვერ მოხდა საქართველოს მასშტაბით ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში მომუშვე პრაქტიკოსი სოციალური მუშკების გამოკითხვა, რასაც შესაძლოა ცვლილება მოეხდინა და უკეთ დაენახებინა რეგიონებში არსებული პრობლემები და გამოწვევები.

კვლევის შედეგების ანალიზი

კლვევის ფარგლებში ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუ, გამოიკითხა 15 პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი, აქედან 8 სახელმწიფო სექტორიდან და 7 არასამთავრობო სექტორიდან. რომლის მიზანიც იყო საკვლევი სფეროს შესწავლა რესპონდენტის პოზიციიდან. ინტერვიუების მეშვეობით ინფორმაცია მივიღე პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების ძირითად პრობლემებსა და გამოწვევებზე, სამუშაოს დიდ მოცულობაზე და მასთან დაკავშირებულ შეუსაბამო ანაზღაურებაზე, გადატვირთულ სამუშაო გრაფიკზე, რომელიც არ ანაზღაურდება, ინფორმაცია შეუსაბამო ინფრასტრუქტურის პირობებში მუშაობის შესახებ, კადრების კვალიფიკაციის ნაკლებობისა და გადამზადების აუცილებლობის შესახებ, ასევე განსხვავებები არასამთავრობო და სახელმწიფო სექტორებში მომუშავე სოციალური მუშაკების სამუშაო პირობებს შორის და იმ განსხვავებების შესახებ, რომელიც უშუალოდ სახელმწიფო სექტორებს შორის გამოიკვეთა.

რამდენად მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკის როლი ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში

კვლევის ფარგლებში, პირველ რიგში, აქცენტი გაკეთდა იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკის როლი ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში, და რამდენად მნიშვნელოვნად აღიქვავენ ამ როლს თვითონ პრაქტიკოსი სოციალური მუშაკები.

კითხვაზე - „რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის სოციალური მუშაკის როლი ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში. ყველა გამოკითხულმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ სოციალური მუშაკის როლი ბავშვების და მათი ოჯახის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა რამდენად ახერხებენ ამ როლის სრულფასოვნად შესრულებას ეს კიდევ სხვა საკითხია. სოციალური მუშაკები აღნიშნავენ, რომ :

''ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში ჩვენი ფუნქცია ბავშვების დაცვაზე ზრუნვაა, მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და ადაპტირებული გარემოს შექმნა, რაც აუცილებელია ბავშვისთვის''(არასამთავრობო სექტორი)

''ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში სოციალური მუშაკის როლი ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან ის აფასებს ბავშვებსა და მათ ოჯახებს, განსაზღვრავს მათ საჭიროებებსა და პრიორიტეტებს, მონაწილეობს მზრუნველობის იმ ტიპის შერჩევაში, რომელიც ესაჭიროება ბავშვს, რათა სწორად დაიგეგმოს და წარიმართოს. ეს არ შეუძლია სხვა სპეციალობის ადამიანს მაგალითად: იურისტებს, ისინი პირდაპირ კანონის წინაშე არიან მართლები და არ ფიქრობენ ბავშვის მდგომარეობაზე. ''(სახელმწიფო სექტორი)

ის ფაქტი რომ პრაქტიკოს სოციალურ მუშაკებს თავისი როლი ბავშვთა კეთილდღეობაში კარგად ესმით მნიშვნელოვანია, რადგანმათზეა დამოკიდებული ბავშვების და ამ სფეროს მდგომარეობის წინსვლა.

სოციალური მუშაობის ეფექტიანად და ხარისხიანად წარმართვისთვის უამრავი ფაქტორი და სირთულეა მოსაგვარებელი. პირველ რიგში, რაც ყველაზე მეტად გასათვალისწინებელია პრობლემების და სირთულეების შესახებ ინფორმაცია უნდა უშუალოდ პრაქტიკოსი სოციალური მუშაკებისგან მიიღოს სახელმწიფომ, რადგან ისინი ხედავენ ყველა იმ ნიუანსს და გამოწვევას, რომლის გამოსწორებაც არის საჭირო საქმის უკეთ შესრულებისთვის. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა შეუძლებელია ცვლილებების შესახებ ისაუბროს იმ ადამიანმა, რომელსაც არ აქვს უშუალოდ პრაქტიკასთან შეხება.

''. . .ადამიანი რომელსაც, ერთხელაც კი არ უმუშავია ველზე, ერთხელაც კი არ ჰქონია უკიდურესად გაჭირვებულ ადამიანთან ინტერვიუ, ერთხელაც კი არ გაუვლია ის სირთულეები, რასაც საველე სოციალური მუშაობა გულისხმობს, ჩემი აზრით, ვერ იქნება კარგი პოლიტიკის შემქმნელი ის ვისაც ეს გამოცდილება მიკრო დონეზე არ უნახავს, მხოლოდ მაკრო დონეზე შექმნილი დოკუმენტებით ვერასდროს დაინახავს ის კანონში ხარვეზებს და ღრმულებს სრულფასოვნად.''

რესპონდენტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ არამარტო სოციალური მუშაობის განვითარებაში და ხარვეზების აღმოფხვრაში დაეხმარება მათი ჩართულობა სახელმწიფოს,

ეს უშუალოდ თვითონ პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების განვითარებისთვისვეა კარგი, რადგან მხოლოდ ერთი და იგივე საფეხურზე მუშაობისას ის მონდომება და მოტივაცია მცირდება რაც რეალურად სჭირდება სოციალურ მუშაკს. სოციალური მუშაკები ინტერვიუში საუბრობენ, რომ:

"სოციალური მუშაკები უნდა გააქტიურდნენ უფრო მაკრო დონეზე მხოლოდ პრაქტიკა, პრაქტიკა და დაუსრულებლად ასე თუ არ გადაინაცვლებენ ერთი საფეხურიდან მეორეზე, რეალურად ვერასდროს ვერ გაიგებს სახელმწიფო რა არის პრიორიტეტული იმ მომენტისთვის."

".სოციალური მუშაკის განვითარების ყველაზე კარგ შემთხვევაში უნდა ვიწყებდეთ პრაქტიკით, შემდეგ გადავდიოდეთ ჯგუფებზე და შემდეგ უკვე ვქმნიდეთ სტრატეგიებს, დოკუმენტებს სახელმწიფო დონეზე".

ნამდვილად ჩემი აზრით, საჭიროა რომ სოციალური პოლიტიკის ფორმირებისას სოციალური მუშაკები უფრო აქტიურად იყვნენ ჩართულები,რათა საჭიროებისამებრ განსაზღვრონ პროგრამები და რესურსები. ამის გასამტკიცებლად შეგვიძლია განვიხილოთ ერთი მაგალითი, რომელიც დაგვანახებს, რამდენად მნიშვნელვანია სოციალური მუშაკების ჩართვა, თუნდაც იმიტომ რომ მათ იციან რეალურად რა სირთულეების წინაშე დგას ხალხი. ერთ-ერთი მაგალითი თუ როგორ შეცვალა პროფესიამ პოლიტიკა სიღარიბის დაძლევაში, არის სამხრეთ აფრიკის ქვეყანა, რომელიც დაეხმარა ხალხს ეკონომიკურ კეთილდღეობაში ნაბიჯების გადადგმაში. პროფესიამ იმ პერიოდში დიდი კრიტიკა დაიმსახურა როგორც გარედან, ასევე თავად პროფესიის შიგნიდანაც, რომ სოციალური მუშაკები არ იყვნენ ეკონომისტები. თუმცა პრაქტიკოსებმა დაამტკიცეს, რომ დისკუსიებში, ფორუმებში მათ მონაწილეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რათა დაანახონ პოლიტიკის შემმუშავებლებს თუ რა ეკონომიკური და სოციალური შედეგები შეიძლება მოყოლოდა მათი ეკონომიკური განვითარების პოლიტიკურ გეგმას. როგორც პატელი და ჰოცფელდი

(2012) ამბობენ პროფესიის მონაწილეობა ცვლილებების ბიძგისათვის და წახალისებისთვის მნიშვნელოვანია, რათა მოხდეს განვითარება. (Patel L, 2012, pp. 690-700)

პროფესიული განათლების დეფიციტი.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზიდან გამომდინარე გამოიკვეთა ძირითადი სირთულეები და ამ სირთულეებით გამოწვეული პრობლემები, რომლებიც ყოველდღიურად პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების წინაშე დგას და უშლის ხელს სრულფასოვნად და ხარისხიანად შეასრულონ თავიანთი სამუშაო მოვალეობები. ასევე გამოიკვეთა არასამთავრობო და სახელმწიფო სექტორებში დასაქმებული პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების სამუშაო პირობებს შორის განსხვავებები.

მონაცემების ანალიზმა ცხადყო, რომ პრაქტიკოს სოციალურ მუშაკებს, რომლებიც დასაქმებულები არიან სახელმწიფო სექტორში ძალიან ბევრი პრობლემები აქვთ, რაც ხელს უშლის მათ მოვალეობის შესრულებაში, ძირითადად ეს პრობლემები იწყება კვალიფიკაციური კადრების ნაკლებობის პრობლემებიდან და დაუსრულებელია.

სოციალური მუშაობის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული პრობლემების მეტნაკლებად გამოკვეთამ ცხადყო განათლების სისტემის დანერგვის და საინფორმაციო რესურსებისადმი პრაქტიკოსი სოციალური მუშაკის ხელმისაწვდომობის გაზრდის აუცილებლობა. კვალიფიკაციის ნაკლებობა იწვევს გარკვეულ აზრთა და მიდგომათა დაპირისპირებებს. ინტერვიუს დროს ამ საკითხზე სხვადასხვა პასუხი დაფიქსირდა ზოგი თვლის რომ არის კვალიფიკაციური კადრების ნაკლებობა და ეს რეალურად პრობლემაა. ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა:

"ხშირად რაღაც მიდგომებში და ღირებულებებში განსხვავებაა ხოლმე, იმ თაობებს შორის ვინც მიიღო უნივერსიტეტში უმაღლესი განათლება და იმათ შორის ვინც უბრალოდ გადამზადდა და სერტიფიკატი აიღო, ძალიან ხშირია ხოლმე კონფლიქტები და აზრთა სხვადასხვაობა. "

'' არის კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, განსაკუთრებით თბილისის გარეთ, რადგან კვალიფიციური სოციალური მუშაკი არ წავა იგივე ხელფასზე იგივე პირობებში, ხოლო იქ მომუშავეებს არ აქვთ შესაბამისი გადამზადება და პრაქტიკიდან გამომდინარე სწავლობენ ეტაპობრივად. ''

ინტერვიუების დროს გამოიკვეთნენ რესპონდენტები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ არ არის კვალიფიკაციური კადრების ნაკლებობა, რადგან მიუხედავად იმისა რომ არ აქვს ზოგიერთ თანამშრომელს უმაღლესი განათლება ამ სფეროში, მათი პრაქტიკიდან გამომდინარე უფრო მეტი ინფორმაცია აქვთ მიღებული ვიდრე სადმე ისწავლიდნენ.

'' ჩემი აზრით, არ არის კვალიფიკაციური კადრების ნაკლებობა, მიუხედავად იმისა რომ საჯარო სექტორში ბევრი ისეთი კადრია დასაქმებული სოციალური მუშაკის პოზიციაზე, რომლებსაც სოციალური მუშაობის ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხი არ აქვს, თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მათ გავლილი აქვთ შესაბამისი გადამზადების კურსი და მათი საკმაოდ ხანგრძლივი გამოცდილებიდან გამომდინარე ისინი ადეკვატურად ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს. ''

მიუხედავად განსხვავებული პასუხებისა ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია ეტაპობრივად ხდებოდეს პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების გადამზადება, მიუხედავად იმისა რა განათლება აქვთ მანამდე მიღებული, რადგან სხვადასხვა ეტაპზე შეიძლება შეხვდნენ ისეთ შემთხვევებს, რაზეც არასდროს ჰქონიათ შეხება, რესპოდენტმა მაგალითად მოიყვანა ერთი შემთხვევა:

'' შეიძლება ყველა სოციალურ მუშაკს არ ჰქონდეს პრაქტიკა მაგალითად ძალადობის მსხვერპლ ქალთან, არ იცის საერთოდ როგორ უნდა ჰქონდეს ურთიერთობა და იმის მაგივრად რომ დაეხმაროს და გააძლიეროს ზოგ შემთხვევაში გამოდის რომ პირიქით, სოციალური მუშაკი ატარებს ისეთ პრაქტიკას, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება ქალის უფლებებს. პირდაპირ არის დისკრიმინაციული გენდერის ჭრილში და შესაბამისად ეს

არის ძალიან დიდი პრობლემა, როდესაც ავალებენ ისეთ საქმეებს რაზე ცოდნა არ აქვს და არც გადამზადებულია. ''

''. . შესაბამისი ცოდნა არ აქვთ არ ასწავლიან როგორ უნდა განახორციელონ პრაქტიკა,შესაბამისად სოციალურ მუშაკს უწევს თავისით მისი ინტუიციის დახმარებით ან ადამიანური ღირსებების დონეზე აკეთოს თავისი საქმე და ეს პრობლემაა. ''

მუდმივ გადამზადების აუცილელობას ქმნის ის ფაქტიც რომ მუდმივცვალებად პროფესიულ გარემოში ცოდნის განახლება და ინფორმაციის გამრავალფეროვნება უზრუნველყოფს სოციალური მუშაკის ინტერვენციის ტექნიკის დახვეწას და შესაბამისად გააუმჯობესებს შესრულების ხარისხსაც. სოციალური მუშაკების კვალიფიკაციაზე ასევე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს სოციალური მუშაობის პროფესიული რეგულირების კონცეფცია, რომელშიც განხილულია კვალიფიკაციური კადრების აუცილებლობა. აშშ-ში, კანადაში და ავსტრალიაში, სოციალურ მუშაკს პრაქტიკის დასაწყებად მინიმუმ ბაკალავრის კურსი უნდა ჰქონდეს დამთვრებული. (საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, 2017, p. 12). და თუ ამ პრაქტიკას საქართველოშიც დავამკვიდრებთ ძალიან ბევრი პროფესიუნალი კადრი შეემატება სფეროს, მაგრამ ჩემი აზრით,სანამ ეს პრაქტიკა დაინერგება სასურველი იქნება.მინიმუმ 1 წლიანი კურსები მაინც გაიარონ იმ სოციალურმა მუშაკებმა, რომლებსაც ბაკალავრის ხარისხი არ აქვს სოციალური მუშაობის, და ასევე სასურველია ნებისმიერ შემთხვევაში გადამზადნენ ეტაპობრივად ის სოციალური მუშაკები რომლებსაც მიღებული აქვთ ბაკალავრის ხარისხი ამ სფეროში.

ყოველდღიურ სამუშაო გარემოში არსებული პრობლემები

ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც როგორც სახელმწიფო ისე არასამთავრობო სექტორში დასაქმებულებს აწუხებთ ეს არის ბიუროკრატიული პრობლემები, სოციალური მუშაკების ძირითადი სამუშაო დრო ეწირება, ბიუროკრატიული პროცედურებსა და შიდა კონტროლის მექანიზმებს,რომელიც იმდენად მოუქნელია რომ, სოციალური მუშაკისგან

ძალიან ბევრ დროს და ენერგიას მოითხოვს და სხვა ძირითად საკითხზე ვეღარ ორიენტირდება. როგორცრესპონდენტებმა აღნიშნეს:

'' იმდენად ბიუროკრატიული ბარიერები გვაქვს, რომ შეიძლება სერვისი არსებობდეს, მაგრამ რაღაც შემთხვევაში როდესაც გადაუდებლად მინდა მაგალითად თავშესაფარში ჩავრიცხო, ან მცირე საოჯახო ტიპის სახლში, ვერ ვახერხებ, იმიტომ რომ მე ჯერ უნდა გავაკეთო გადაუდებელი რეაგირების ოქმი, მერე საოქმო საბჭომ დამიდასტუროს და ასე შემდეგ, რაც დიდ დროსთნაა დაკავშირებული და რეალურად გადაუდებელი შემთხვევა გადადებულია სამომავლოდ. ''(სახელმწიფო სექტორი)

''ბიუროკრატიული სიტუაციები აფერხებს მუშაობის პროცესს, უამრავი საბუთია, მათი შევსების პროცესი ძალიან იწელება ხშირ შემთხვევაში და გვართმევს ბენეფიციარებისთვის განკუთვნილ დროს''. (არასამთავრობო სექტორი)

გამოკვეთილ ყოველდღიურ პრობლემათაგან ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია სოციალური მუშაკთა ფინანსური პრობლემები, რომელიც გამოიხატება: სამგზავრო ხარჯებში, სამსახურის ტრანსპორტის არ ყოლაში და დაბალ ხელფასებში, რომელიც ზეგანაკვეთური მუშაობის შემთხვევაშიც უცვლელი რჩება. ამ საკითხის მოწესრიგება აუცილებელია, რათა შეამციროს სოციალურ მუშაკთა უკმაყოფილება და თუნდაც არასამთავრობო სექტორებში მათი გადასვლა. სოციალური მუშაკების მითითებით.

''ძალიან მნიშვნელოვანი იქნება მძღოლის არსებობა ორგანიზაციებში, რადგან მანქანის გარეშე ნაკლებად ეფექტურია და სწრაფია მუშაობა და ქმნის პრობლემებს, ასევე ანაზღაურების ზრდა არის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რადგან ამით ორგანიზაციები აირიდებენ თანამშრომლების ხშირ ცვლილებებს. ''

''მინიმუმ ტრანსპორტით უზრუნველყოფა იმისთვისაა საჭირო რომ ჩვენც ელემენტარულად ვიყოთ დაცულები, როდესაც მარტო მიდიხარ, შემთხვევაზე არასდროს იცი იქ რა დაგხვდება, აი მაგალითად მიდიხარ პოტენციურ მოძალადესთან და დაცული საერთოდ არ ხარ, მინიმუმ მძღოლი რომ იქნება შედარებით დაცულად ვიგრძნობთ თავს, ''

''.შენ მუშაობ კარგად, მაგრამ მიგაქვს ნაკლები ხელფასი სახლში, იმიტომ რომ ჩვენი ხელფასით გვიწევს აქეთ იქით სიარული ბავშვის გადაყვანა გადმოყვანაც ხშირად ჩვენი ფულით გვიწევს. ''

შესაბამისად ამ მიზეზების გამო უამრავი შემთხვევა და ვიზიტები დამოკიდებულია პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების ენთუზიაზმზე და ფინანსებზე. ხშირად ამ ფაქტორების გავლენით სოციალურ მუშაკს უწევს ბენეფიციარებთან ვიზიტების განხორციელების მაგივრად, მხოლოდ სატელეფონო კონტაქტით შემოიფარგლოს, რაც არ არის საკმარისი მათი შეფასებისთვის ეს ქმნის უდიდეს პრობლემას, რეალურად სოციალური მუშაკი ვერ ახდენს თავისი შესაძლებლობების გამოვლენას იმ საქმის და მოვალეობების კეთებას რაც მას რეალურად ავალია და რასაც მისი პროფესია მოითხოვს, ამ საკითხთან დაკავშირებით,

''სისტემა იმდენად გაშალაშინებს, იმდენ ღირებულებებს და ემოციურ მდგომარეობას გიუფასურებს რომ რეალურად პროფესიული გადაწვა ხდება.''

''სოციალური კეთილდღეობის სფერო ჰქვია ბავშვთა ზრუნვას, ამ დროს ბავშვთა ზრუნვა არის მეათასე ხოლმე ჩვენი სამსახურის პირობებიდან გამომდინარე. ''

კვალიფიციური სოციალური მუშაკი სახელმწიფო სექტორიდან გადადის არასამთავრობო სექტორში, ან სხვა სახელმწიფო სექტორებში, რომლებიც არ მუშაობენ ბავშვთა კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად. სხვა სახელმწიფო სექტორებში განსხვავებული ხელფასებია და უკეთესი პირობებიც.

'' თითონ სახელმწიფო სექტორებს შორის არის განხვავებული პირობები, მაგალითად სააგენტოდან ბევრი გადასულა იუსტიციის სახლში სამუშაოდ მხოლოდ უკეთესი ხელფასის და პირობების გამო, რაც იწვევს კვალიფიციური კადრების გადინებას, ხოლო იმ რეალობიდან გამომდიარე რაც დღეს ბავშვთა კეთილდღეობის სფეროშია, ნამდვილად საგანგაშოა კადრების კიდევ უფრო შეცოტავება. ''

არასამთავრობოში ძირითადად არ არის ტრანსპორტის ან ზეგანაკვეთური სამუშაოს პრობლემა იმდენად რამდენადაც სახელმწიფო სექტორშია. რაც როგორც რესპონდენტებმა აღნიშნეს ძალიან დიდი პრობლემაა მათთვის.

''სამუშაოს შეცვლის ერთადერთი მიზეზი იქნება ალბათ ანაზღაურება''

''კერძო სექტორში მომუშავე სოციალურ მუშაკებს ბევრად უკეთესი სამუშაო გარემო აქვთ,ასევე მნიშვნელოვანია რომ ისინი ერთი მიმართულებით მუშაობენ, კონკრეტულ სამიზნე ჯგუფთან როცა სახელმწიფოში დასაქმებულები ბევრად მეტი მიმართულებით მუშაობს და შესაბამისად დატვირთვაც მეტი აქვს.''

'' ელემენტარული პირობები რომ არ გექნება სამუშაოზე თუნდაც ის მაგიდა, ოთახი, სკამი რომ ელემენტარული ბენეფიციარი დასვა, ძნელია ასეთ ადგილას მუშაობა, ''

''სახელმწიფო სექტორებშიც სოციალური მუშაკების პირობები განსხვავდება, მაგალითად იუსტიციის სამინისტროში სხვანაირად არიან, აღსრულების ბიუროში სხვანაირად იმიტომ რომ იქ ყველგან ხელს უწყობენ, მეც აუცილებლად გადავალ სადმე მიუხედავად დიდი გამოცდილების მიღებისა სააგენტო ისე გიუფასურებს ყველაფერს, აღარ გრჩება მოტივაციის, წინსვლის, შემართების უნარი. ''

''კერძო სექტორში მომუშავე სოციალური მუშაკების სამუშაო გარემო-პირობები და ანაზღაურება ბევრად უფრო ხელსაყრელია, ვიდრე სახელმწიფოს სოციალური მუშაკების, ეს განსხვავებები ნამდვილად არის პრობლემა, ამ მიზეზით აუცილებლად გადავიდოდი''.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მუშაკები მონდომებულები არიან ბენეფიციარების დასახმარებლად, რეალურად მათი სამუშაო პირობებიდან გამომდინარე ვერ ახერხებენ სრულფასოვან დახმარებას. მათი თქმით როდესაც 27 მიმართულებით გიწევს მუშაობა ეს ძალიან უარყოფითად აისახება მათი მუშაობის ხარისხზე, რაც პარალელურად აზიანებს ბენეფიციარის მდგომარეობას. ისინი საუბრობენ რომ დრო არ

რჩებათ პრევენციისთვის ან ნორმალურად გათვლილი ვიზიტებისტისთვის. როგორც ერთ-ერთი სოციალური მუშაკი აღნიშნავს:

"ჩემი მდგომარეობიდან გამომდინარე, ყველაზე მეტად მირთულებს სამუშაო პროცეს სხვადასხვა მიმართულებებით მუშაობა, რადგან ერთ კონკრეტულ საკითხზე ველარ ვკონცენტრირდებით და გვიწევს მომსახურების ხარისხის დონის დაწევა, რაც არც ჩვენი მუშაობისთვისაა კარგი და არც ბენეფიციარებისთვის. "

მიუხედავად იმისა, რომ არასამთვრობო არ მუშაობს ამდენი მიმართულებით კადრების ნაკლებობის პრობლემა აქაც მწვავედ დგას. რაც ასევე ხელისშემშლელი ფაქტორია ბენეფიციარების მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის.

"ხელს მიშლის ყველაზე მეტად ის ფაქტი რომ მხოლოდ ერთი სოციალური მუშაკი ვარ ცენტრში, უკვე ერთ წელზე მეტია რაც მეორე სოციალური მუშაკი წავიდა და აღარ აუყვანიათ, რაც ძალიან დიდ პრობლემას მიქმნის,ველარ ვასრულებ სრულფასოვნად სამუშაოს. "

ასევე პრობლემატურია ის საკითხი რომ მათ არ აღიქვავენ ოფიციალურ წარმომადგენლებად და უფრო უჭირთ სრულფასოვნად მუშაობა. ამ საკითხზე საუბრობს არასამთავრობო სექტორში მომუშავე ერთ-ერთი სოციალური მუშაკი.

" არასამთავრობო სექტორში დასაქმებული რომ ვარ ეს დიდ პრობლემას მიქმნის იმ მხრივ რომ, მე არ ვარ იმ ბავშვების ოფიციალური წრმომადგენელი/მეურვე რომლებთანაც ყოველდღიურად მიწევს მუშაობა. ხოლო ეს ფაქტორი მიქმნის სხვადასხვა უწყებებთან თანამშრომლობისას ძალიან დიდ პრობლემას. "

ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია რომ არასამთავრობო და სახელმწიფო სექტორში და თვითონ სახელმწიფო სექტორებს შორისაც გათანაბრდეს სამუშაო პირობები, მათი მდგომარეობა, რათა აღარ მოხდეს არსებული უკვე დატრენინგებული კადრების სხვა სფეროში გადასვლა და უფრო მეტად განვითარდეს ბავშვთა კეთილდღეობის სფერო. არ

უნდა უწევდეს სოციალურ მუშაკებს მხოლოდ ხელფასის ცვლილების გამო მიატოვონ სამსახური და გადავიდნენ სხვაგან.

ასევე გარდა უამრავი მიმართულებით მუშაობისა, პრობლემას წარმოადგენს ისეთი სამუშაოების შესრულება, რომელიც არ ეხება სოციალურ მუშაობას, ეს ძირითადად არის დოკუმენტების შევსება, იურისტის მოვალეობის შესრულება რაც როგორც ერთ-ერთმა რესპოდენტმა აღნიშნა ძალიან სახიფათოა.

'' ჩვენ გვიწევს ხანდახან იურისტის პროფესიის შეთვისება, ეს დიდი საფრთხის შემცველია იმიტომ რომ ჯერ ერთი ჩვენ პროფესიით იურისტები არ ვართ ხშირ შემთხვევაში არ ვიცით რას ვაკეთებთ, რეალურად შაბლონს იღებ და გადააკეთებ რაც არასწორია არ უნდა გვიწევდეს იურისტის პროფესიის შეთვისებაც. '

ეს რეალურად ძალიან სახიფათოა, რადგან შეიძლება გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვან, ამას მივყავართ კიდევ ერთ პრობლემამდე, გაურკვევლობები საკანონმდებლო აქტებში, რადგან არ არის განსაზღვრული სოციალური მუშაკის მოვალეობები, ამიტომ მათ აწერენ ისეთ სამუშაოებს რომელიც მათ საერთოდ არ ეხებათ, ან თუ ეხებათ ამას ვერ უმტკიცებენ სხვებს. რაც დიდ გაურკვევლობას იწვევს როგორც მოსახლეობაში, ასევე სხვადასხვა ორგანოებთან. მაგალითად ამ საკითხთან დაკავშირებით რესპონდენტები საუბრობენ:

''როცა არ არის ჩამოყალიებებული სოციალური მუშაკის ვალდებულებები და პასუხისმგებლობები გვიწევს ყველა სხვა ადამიანისთვის ახნა თუ ვინ ხარ, რა გინდა და რა გევალება, საერთოდ ეს იქნება სამართალდამცავი სისტემაში დასაქმებული, ეს იქნება საგანმანათლებლო სისტემაში დასაქმებული მასწავლებლები, თუ ეს იქნება სასამართლო სისტემა. ''

''გაურკვევლობები საკანონმდებლო აქტებში, გვიქმნის პრობლემებს, მაგალითად არ არის განსაზღვრული სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურების სოციალური მუშაკების მოვალეობები პირნათლად, მაგალითად არასრულწლოვანთა დანაშაული არსებობს

დანაშაულის პრევეციის ცენტრი, არსებობს სოციალური სააგენტო, რომლებიც ერთმანეთთან კოორდინირების გარეშე აკეთებენ ისეთ რაღაცეებს, რომლებიც საბოლოო ჯამში, შედეგებზე არ გადის,მოწყვეტილი ხარ და არ გაქვს ინფორმაცია რა არის ბავშვთან ჩატარებული ვის უმუშავია და ასე შემდეგ. ''

'' გამოწვევაა ისიც რომ არ ხდება პროფესიის შესაბამისი აღქმა და დაფასება.''

ეს ყველაზე დიდი პრობლემაა, რადგან გაურკვევლობის გამო გარდა იმისა რომ თავიდან გიწევს ბავშვთან პრევენციული ღონისძიებების გატარება იმ დროს კარგავ როდესაც შეგიძლია სხვა ეტაპზე გადახვიდე და უფრო განავითარო და გააძლიერო ბენეფიციარი.

ასევე დიდი პრობლემაა, როდესაც სერვისი არსებობს, მაგრამ რეალურად ადგილები არ არის, მისი სიმცირის გამო. ამის გამო სოციალურ მუშაკებს უწევთ ბენეფიციარები გადაამისამართონ თბილისის გარეთ, რაც დიდი პრობლემას ქმნის იმ მშობლებისთვის, რომლის შვილებიც ამ გარემოების მსხვერპლები ხდებიან. ეს აუცილებლად არის მოსაგვარებელი, რადგან ამით ზარალდება არამარტო ბავშვი, არამედ მისი ოჯახიც,ვერ ხერხდება ბენეფიციართან სრულფასოვანი მუშაობა და მისი გაძლიერება.

'' ადგილები არ არის თბილისში, ყველა საოჯახო ტიპის სახლში თუ მიმღებ ოჯახებში ყველგან გადატენილია ადგილები და გვიწევს ბავშვის გადაყვანა, რომელიც ოჯახიდანაა გამოყვანილი, ან ქუთაისში ან ბორჯომში, იმიტომ რომ თბილისში ახლოს არ არის ადგილი. ეს ქმნის იმას რომ უწევს დედას, რომელიც ისედაც სოციალურად დაუცველია და ფული არ აქვს გამონახოს გზის ფული რაც ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია, ეს დიდი პრობლემაა რადგან ხდება მხოლოდ ტელეფონით საუბარი რაც არ არის საკმარისი ბავშვისთვის და ოჯახის შესანარჩულებლად. ''

ამდენი პრობლემის მიუხედავად, პრაქტიკოსი სოციალური მუშაკები მაინც განაგრძობენ ბრძოლას სფეროს განვითარებისთვის, სურთ რომ იყვნენ მეტად აქტიურად ჩართულები სხვადასხვა პროცესებში, რომლებიც მათი და სფეროს განვითარებისთვის

კეთდება, ძირითად იმედებს ამყარებენ როგორც ინტერვიუებიდან გამოიკვეთა კანონპროექტზე, რომელიც რეალურად ბევრ პრობლემას მოუგვარებს მათ, განავითარებს სფეროს და უფრო გამოკვეთავს, როგორც პრაქტიკოსი სოციალურ მუშაკის მოვალეობებს და პასუხისმგებლობას, ასევე მათ გაუუმჯობესებს სამუშაო პირობებს. მაგრამ პრაქტიკოსი სოციალური მუშაკები აქაც პრობლემას ხედავენ, რესპონდენტები საუბრობენ, რომ სამწუხაროდ ეს კანონპროექტის დამტკიცებაც არის დროში გაწელილი და რეალურად უახლოეს მომავალში არაფერი შეიცვლება სასიკეთოდ, მათმა ნაწილმა გამოკვეთა ასევე კანონპროექტის განხილვაზე დასწრების პრობლემაც, აღნიშნავენ ასევე რომ კანონპროექტის განხილვაზე მისვლის სურვილის მიუხედავად ასევე სხვა ჩართულობების მონაწილეობის მიუხედავად არ აქვთ დრო რეალურად, არადა მათი ჩართულობა აუცილებელია, რადგან ისინი არიან ყველაფრის ეპიცენტრში და მათ ყველაზე მეტად იციან რა პრობლემები აქვთ.

*"სამწუხაროდ ვერ ვასწრებთ 24 საათის განმავლობაში გვიწევს სამუშაოზე ორიენტირება, საკუთარ შვილებთან ვერ ვატარებთ დროს სხვაგან სიარულზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ძალიან მინდა ხოლმე დავესწრო სხვადასხვა აქტივობებს და ღონისძიებებს, რაც სფეროს განვითარებისთვის კეთდება, მაგრამ ძირითადად არ გვაქვს ამისთვის დრო, სამსახურს ვერ გავაცდენთ. "*ამბობს ერთ-ერთი რესპონდენტი.

ჩემი აზრით, სწორედ ამით სარგებლობს სახელმწიფო, რეალურად ვისაც პრობლემა აქვს და ვინც ამ საკითხის ეპიცენტრშია არ არის შესაბამისად ჩართული, რომ სახელმწიფოს უკეთ დაანახოს არსებული პრობლემები, რაც ძალიან ცუდია.

პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების რეკომენდაციები

ინტერვიუს დასასრულს თითოეულ რესპონდენტს ვკითხეთ თუ რა ცვლილებებს შეიტანდნენ სოციალური სამუშაოს განვითარებისთვის და მათი სამუშაო პროცესის გაუმჯობესებისთვის, ძირითდად ყველაზე დიდი პრობლემა, რაც ყველას სურდა რომ მოგვარებულიყო ეს იყო ბიუროკრატიული პრობლემები. მათი აზრით, თუ ეს პრობლემა

გადაიჭრა მეტი დრო დარჩებათ შემთხვევებზე სამუშაოდ, მეტად სწრაფად ჩართავენ ბენეფიციარს სხვადასხვა პროგრამაში, რაც გააუმჯობესებს სფეროსაც და სამუშაო პროცესსაც. შემდეგი ცვლილებები, რომლებსაც ისინი შეიტანდნენ შემდეგში მდგომარეობდა ეს იყო ტრანსპორტის და სამუშაო გარემოს პრობლემების მოგვარება, სხვადასხვა დონეებზე სოციალური მუშაკის სამუშაოს გავრცელება, ფინანსებთნ დაკავშირებული პრობლემების მოგვარება და სხვადასხვა მიმართულებებით მუშაობის შემცირება. მათი რეკომენდაციები სფეროს და სამუშაო პირობების განვითარების მხრივ შემდეგნაირია.

'' მნიშვნელოვანი იქნება განისაზღვროს ქეისების რაოდენობა და ასევე ყველა საჯარო სექტორში უნდა იყოს განსაზღვრული ხელფასი, რადგან მაგალითად ჩვენი სააგენტოდან არ უნდა მიდიოდნენ თანამშრომლები იუსტიციაში მხოლოდ იმიტომ რომ იქ არის უფრო კარგი პირობები და ხელფასი. . ''

''ვფიქრობ კარგი იქნებოდა, რომ გამოიყოს სხვადასხვა სფეროში მომუშავე სოციალური მუშაკები, ანუ ყველა მუშაობდეს კონკრეტულ სამიზნე ჯგუფებთან. (ზოგი ხანდაზმულებთან, ზოგი ბავშვებთან და ასე), ასე ყველას ყველაფერი არ დაევალება და უფრო ეფექტური გახდება ჩვენი მუშაობა. მნიშვნელოვანი იქნება მაკრო დონის ცვლილებები. ''

''ჯერ კიდევ ბევრი სერვისია შესაქმნელი მაგალითად დღის ცენტრები საჭიროა უფრო ბევრი იყოს, რადგან მშობლების დასაქმება მოვახერხოთ, რეალურად დღისცენტრების არ ქონის გამო ბევრი მშობელი იძულებულია სახლში იყოს ბავშვთან და ვერაფრით ვეხმარებით და ვერ ვაძლიერებთ. ასევე არ არსებობს სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდებისთვის არანაირი სერვისი, რომელიც მათ დამოუკიდებლობის გზაზე პირველ ნაბიჯების განხორციელებაში დაეხმარება, უზრუნველყოფს საცხოვრებლით რაც ძალიან მნიშვნელოვანია''.

''ბავშვთა კეთილდღეობის სფერო აუცილებლად საჭიროებს ვიწრო სპეციალიზაციას, სადაც სოციალურ მუშაკებს საშუალება ექნებათ უკვე გამიჯნული ფუნქცია-მოვალეობების შედეგად სრულყოფილად შეასრულონ თავიანთი მოვალეობები. წინააღმდეგ შემთხვევაში სურათი არ შეიცვლება,''.

''საჭიროა პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების რაოდენობის გაზრდა და მათი კვალიფიკაციის ამაღლება, რათა შეიცვალოს არსებული რეალობა. ''.

დასკვნა და რეკომენდაციები

კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი პრობლემა, რომელიც ხელს უშლის როგორც სფეროს განვითარებას, ასევე პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების სრულფასოვან მუშაობას. შედეგების ანალიზმა გამოავლინა პროფესიის არათანაბარი განვითარების დონე სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორებს შორის, მიუხედავად იმისა, რომ არასამთავრობო სექტორის პროფესიული განვითარება ჩამორჩება სახელმწიფო სექტორისას, საპირისპიროა აქ დასაქმებული პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების სამუშაო პირობების მდგომარეობა, არასამთავრობო სექტორში ბევრად კარგი და მოწესრიგებული სიტუაციაა ვიდრე სახელმწიფო სექტორში, მათ ჰყავთ საკუთარი ტრანსპორტი, აღარ ეხარჯებათ სოციალურ მუშაკებს ტრანსპორტირების ხარჯები, აღარ კარგავენ ამ მხრივ ბიუროკრატიულ საკითხებში დროს, პირდაპირ თავისივე ტრანსპორტით სარგებლობენ და ეს მათ დაცულობის განცდასაც უქმნის, რადგან ისინი არ არიან მარტო შემთხვევის ადგილას, ეს განსხვავება იწვევს სახელმწიფო სექტორიდან კვალიფიციური კადრების არასამთავრობო სექტორში გადმოსვლას, რაც სახელმწიფოს აკარგვინებს შემდგომში უფრო მეტ დროს და რესურს ახალი მუშაკის მოძიებისას, მათი გადამზადებისას, ხარჯავს უამრავ ფინანსებს, რომლებიც რეალურად შეიძლება გამოიყენოს არა მუშაკების ხელახლა დაქირავებაში, არამედ არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის. განსხვავება არასამთავრობო და სახელმწიფო სექტორს შორის ასევე მიუთითებს სახელმწიფოს ჩაურთველობაზე ამ სფეროს განვითარებისას, რეალურად უცხო ქვეყნის წარმომადგენლები უფრო აფასებენ ჩვენს პრობლემებს და უფრო დიდ ფინანსებს დებენ ამ სფეროს განვითარებისთვის, ვიდრე ადგილობრივი საკუთარი სახელმწიფო ახარჯებს ამ სფეროს განვითარებას.რაც დაუშვებელია ქვეყანაში, სადაც კანონპროექტის დასამტკიცებლად უამრავი დრო იხარჯება, იმის მიუხედავად რომ სახელმწიფო აქეთ აფინანსებდეს ასეთ ინიციატივებს, საინფორმაციო კონფერენციებს.

სფეროს სექტორების ორად გახლეჩვა რეალურ პრობლემას წარმოადგენს ასევე თითონ ბენეფიციარებისთვისაც, რადგან ისინი იღებენ არათანაბარ მომსახურებას ის ბენეფიციარები რომლებმაც მიმართეს არასამთავრობო სექტორს ბევრად კარგ მდგომარეობაში არიან, უფრო დიდ ყურადღებას აქცევს მათ პრობლემებს პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი უფრო მეტ რესურს უთმობს, ვიდრე სახელმწიფო სექტორში დასაქმებული სოციალური მუშაკი თავისი არსებული სამუშაო პირობებიდან გამომდინარე.

ყველაზე რთულ მდგომარეობაში როგორც მონაცემებმა აჩვენა დღესდღეობით არიან სოციალურ სააგენტოებში დასაქმებული პრაქტიკოსი სოციალური მუშაკები, მათ ყველაზე მეტი სირთულე აქვთ და ყოველდღიურად უამრავი გამოწვევის წინაშე დგანან, დაწყებული ტრანსპორტის და ინვენტარის პრობლემებიდან, რომლებიც ჩემი აზრით ყველაზე მინიმალურია რაც მოგვარებული მაინც უნდა იყოს, რათა შეეძლოს პრაქტიკოს სოციალურ მუშაკს სრულფასოვნად შეასრულოს საკუთრი საქმე, დროულად მივიდეს ბენეფიციართან გადაუდებელ სიტუაციაში. რეალურად ამ უმნიშნელო ტარანსპორტირების პრობლემას უფრო რთული პრობლემები ახლავს თან, როდესაც ბავშვზე ძალადობენ ან სიკვდილის პირასაა სოციალურ მუშაკს არ უნდა უწევდეს ტრანსპორტისთვის საბუთების შევსება და დასტურზე ლოდინი, ასევე არ უნდა უწევდეს საკუთარი ფინანსების რეგულირება რომ დაიტოვოს ასეთი სიტუაციებისთვის თუნდაც ''ტაქსის'' ფული, რეალურად გამოდის რომ რიგითი პიროვნება უფრო მეტ რესურს დებს ამ მომენტში ბავშვის გადასარჩენად ვიდრე სახელმწიფო. ამას მივყავართ ისევ ბავშვის მდოგმარეობის გაუარესებამდე, რადგან ყოველთვის ვერ ექნება პრაქტიკოს სოციალურ მუშაკს გადადებული ფული ასეთი სიტუაციებისთვის, შესაბამისად შეიძლება ამ დროს დაიღუპოს ბავშვი, რაც დაუშვებელია.

ძირითად პრობლემას ასევე წარმოადგენს პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების ნაკლებობა, რაც მუშაობის ხარისხს ამცირებს და ბენეფიციარების უკმაყოფილებას ზრდის, ხოლო ბენეფიციარების უკმაყოფილების გაზრდა რეალურად ნიშნავს მათი მდგომარეობის გაუარესებას, თუნდაც გარკვეული დროით მათ შიმშილს, იმ მუშაკებსაც კი ვინც

რეალურად მუშაობს არ აქვთ საშუალება სრულფასოვნად შეასრულონ თავიანთი საქმე, უამრავი შემთხვევის და სხვადასხვა მიმართულებებით მუშაობის გამო მათ უწევთ ყველა შემთხვევაზე ზოგადი მიმოხილვის გაკეთება უფრო ვიდრე სიღრმისეულად მათი შესწავლა, რაც აზიანებს როგორც სოციალური მუშაკის ასევე ბენეფიციარების არსებულ მდგომარეობას, როდესაც ვიზიტების ნაცვლად გიწევს მხოლოდ ტელეფონზე საუბრით შემოფარგვლა ძნელია დაინახო ის ნიუანსები, რომლებიც სოციალური მუშაკის თვალს არ უნდა გამოეპაროს, თუნდაც მოძალადე ქმარი ოჯახში, ბავშვის დალურჯებული სხეული, რომელსაც ტელეფონზე საუბრისას ვერ/არ გეტყვიან და არც გაამახვილებ შესაბამისად ყურადღებას, ამ დროს კი შეიძლება იქ იღუპებოდნენ ადამიანები. რეალურად ''ფუფუნება''ს წარმოადგენს როგორც პრაქტიკოსი სოციალური მუშაკისთვის ასევე ბენეფიციარისთვის სრულფასოვანი და ხარისხიანი ურთიერთობა და შემთხვევის განხილვა. ამ რეალობის მიღმა სახელმწიფო არაფერს აკეთებს და მხოლოდ იმ მინიმუმით კმაყოფილდება რასაც სფერო აკეთებს, რადგან როგორც მონაცემების ანალიზიდან გამოიკვეთა თვითონ სახელმწიფოსაც არ აქვს ამ სფეროზე ინფორმაცია, არ იცის რაში ეხმარება ის მას და როგორ შეუძლია გამოიყენოს ხელსაყრელად, თუნდაც ისევ თავის სასიკეთოდ. მაგალითად სახელმწიფომ რომ ხელი შეუწყოს ამ სფეროს განვითარებას, რეალურად პარალელურ რეჟიმში შეამცირებს სიღარიბის დონეს, შეამცირებს ბავშვებზე ძალადობის ფაქტს და შეიქმნის ამ ბავშვების სახით სამომავლო კაპიტალს, რაც ამჟამად დახარჯულ თანხას სამომავლოდ უკან დაუბრუნებს. ხოლო თუ არ მიაქცევს ყურადღებას ეს თითოული შემთხვევა გაიზრდება და რეალობა არ შეიცვლება, სულ სახელმწიფოს ბენეფიტების ხარჯზე მოუწევთ ცხოვრება ბენეფიციარებს, რაც ისევ სახლემწიფოს დააზარალებს. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფომ გაიაზროს რომ ბავშვი არის ქვეყნის მომავალი და ბავშვთა კეთილდღეობის სფეროს განვითარებით განავითარებს საკუთარ მომავალს და ქვეყანას.

ერთ-ერთი პრობლემა რაც გამოვლინდა მონაცემთა ანალიზიდან, კვალიფიკაციური კადრების ნაკლებობაა რადგან ზოგიერთ სოციალურ მუშაკს აქვს მხოლოდ გადამზადება

გავლილი რაც აზრთა სხვადასხვაობას და დაპირისპირებას იწვევს. სხვადასხვა შემთხვევის განხილვისას, უწევთ თავიანთი დამოკიდებულებიდან, თავიანთი პრაქტიკიდან გამომდინარე მოქმედება გარკვეული შემთხვევების დროს და არა რეალურად სოციალური მუშაობის ეთიკიდან გამომდინარე, რითაც ხშირად არღვევენ ბენეფიციარის უფლებებსაც, ასევევ მუშაობის პროცეს აფერხებს ისიც რომ მათ არ აქვთ ჩამოყალიბებული კონკრეტულად ერთი მიმართულება, ისინი მუშაობენ სხვადასხვა მიმართულებებით ეს იქნება ბავშვთა კეთილდღეობა, ძალადობა, შშმ პირები და ასე შემდეგ რაც ართულებს როგორც კვალიფიკაციის ამაღლებას ამ სფეროებში ასევე ხარისხიან მუშაობის პროცესს თითოეული ქეისის მიმართ. ამას ემატება კიდევ ბიუროკრატიული პრობლემები, უამრავ საბუთებთან მუშაობა და კიდევ მრავალი ფუნქციის შეთავსება, რომლებიც ისედაც ''გადამწვარ'' პრაქტიკოს სოციალურ მუშაკებს უარესად წვავს და მოტივაციას უკარგავს რაიმე სიახლის წამოწყების, საკუთრი თავის განვითარების და ხარისხიანად საქმის შესრულების შესაძლებლობას, რაც როგორც ავღნიშნე ისევ ბენეფიციარის მდგომარეობას აუარესებს. დროში გაწელილი სამუშოს გამო ზარალდებიან ბენეფიციარები, რადგან მათ უწევთ იმ დროის განმავლობაში, როდესაც საბუთები წესრიგდება ან რაიმეზე დასტურს ელოდებიან, იცხოვრონ ღია ცის ქვეშ, შეუწყდეთ სოციალური დახმარება, ან დარჩნენ საკვების გარეშე, მაგალითად ამ პრობლემის ნათლად წარმოდგენისთვის მოვიყვან ერთ-ერთი ბენეფიციარის შემთხვევას, რომელზეც ჩვენმა რესპონდენტმა ისაუბრა, უამრავი საბუთის და დროში გაწელილი პასუხის გამო თითქმის ორი კვირა უწევდა ოჯახს საკვების გარეშე ყოფნა. რომ არა მათი მეზობლები რეალურად ისინი შიმშილით დაიღუპებოდნენ. სწორედ ამიტომ მე ვფიქრობ, უნდა გადაუდებლად მოგვარდეს ეს პრობლემა, რადგან მოსახლეობა არ უნდა იყოს სხვადასხვა კეთილი ადამიანის იმედზე, მათზე უნდა იღებდეს პასუხისმგებლობას სახელმწიფო. ნებისმიერი სერვისი თუ კონტროლის სისტემა უნდა იყოს ისე შემუშავებული რომ არ მოუწიოს ბენეფიციარს უამრავი საბუთის და მასთან დაკავშირებული ბიუროკრატიული პრობლემების გამო, ისედაც არსებული გაუსაძლის პირობებში დამატებით შიმშილობის და უსახლკარობის პრობლემის მოგვარება. როდესაც რეალურად სერვისი არსებობს და ამ სერვისში მოხვედრას თვეები სჭირდება ეს

დაუშვებელია, რადგან ადამიანებს არ აქვთ ამდენი დრო მითუმეტეს ბავშვთა კეთილდღობის სფეროში, სადაც მოწყვლად ჯგუფს ძირითადად მცირეწლოვანი ბავშვები წარმოადგენენ.

ასევე გარდა ბენეფიციარებისა, ბიუროკრატიული პრობლემები ბევრ სირთულეს უქმნის თვითონ სოციალურ მუშაკებსაც, ისინი შეძლებისდაგვარად ცდილობენ აარიდონ დროში გაწელილი უამრავი საბუთისგან გამოწვეული პრობლემები ბენეფიციარებს, რაც მათ ორმაგ შრომას მოითხოვს, უწევთ შესაბამისად ზეგანაკვეთური მუშაობა ან სხვა შემთხვევებზე ნაკლები ყურადღების გამახვილება, ეს არ არის სწორი არ უნდა ზარალდებოდეს არც სოციალური მუშაკი და არც ბენეფიციარი იმის გამო რომ სახელმწიფო მათ ავალებს დამატებით საქმეს, რაც მათ მოვალეობაში რეალურად არ შედის, ამდენი საბუთების შევსება პრაქტიკოს სოციალურ მუშაკს ართმევს იმ დროს,რომელიც უნდა მოხმარდეს ბენეფიციარს და მის მდოგომარეობის გაუმჯობესებას.

ამ პრობლემების მოგვარება რეალურად შესაძლებელია მაგრამ აქ კიდევ ერთი საკითხი არის, რამდენად ახერხებენ პრაქტიკოსი სოციალური მუშაკები სხვადასხვა დონეზე მუშაობას, სფეროს და ბენეფიციარების პრობლემების მიტანას სახელმწიფომდე, არსებული რეალობიდან გამომდინარე როდესაც მოქალაქეების სოციალური უფლებების შელახვის მაღალი მაჩვენებლია, პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების ჩართულობა და აქტივიზმი არ შეინიშნება სოციალური პოლიტიკის ფორმირების პროცესში. რესპონდენტების უმრავლესობამ აღნიშნა რომ მათ მხოლოდ ერთ დონეზე უწევთ მუშაობა, მხოლოდ ინდივიდებთან რაც ძალიან ცუდია, რადგან თუ არ ჩაერთვებიან სახელმწიფოსთან ერთად ამ სფეროს და სისტემის ფორმირებაში, ძალიან დაზარალდება სფერო, მათზე უკეთ არავინ იცის რა პრობლემები აქვთ ბენეფიციარებს და რა საკითხებია სფეროში მოსაგვარებელი. ისინი ვერ ახერხებენ სხვადასხვა აქტივობებში ჩართვას და საკუთარი აზრის დაფიქსირებას სხვადასხვა მიზეზის გამო, ეს იქნება ზეგანაკვეთური სამუშაო,ს თავისუფალი დროის არ ქონა, თუ უბრალოდ შიში სამსახურიდან დათხოვნის. ძირითადად მაინც კანონპროექტის იმედზე არიან და თვლიან რომ ის არის წინ

გადადგმული ნაბიჯი ნამდვილად ეს კანონპროექტი არის რეალურად წინ გადადგმული ნაბიჯი, რაც ჯერჯერობით სფეროს განვითარებისთვის კეთდება, ამან შეიძლება გამოიწვიოს როგორც სოციალური მუშაკების სამუშაო პირობების გაუმჯობესება და დაეხმაროს მათ სრულფასოვან და ხარისხიან მუშაობაში, ასევესასიკეთო იქნება უშუალოდ სფეროს განვითარებისთვისაც, მაგრამ აქაც არის დაბრკოლებები და დროსთან დაკავშირებული სირთულეები, დროში გაწელილი პროცესია რაზეც ჩვენმა რესპონდენტებმაც გამოთქვეს თავიანთი წუხილი, მათი აზრით აუცილებელია უახლოეს მომავალში დაიწყოს სხვადასხვა საკითხის რეგულირება და მოგვარება, ამაში სახელმწიფო უნდა ჩაერთოს და უფრო დააჩქაროს კანონპროექტის მიღება,

ყოველივე ამის გათვალისწინებით, რეკომენდირებული იქნება, რომ რეალურად სახელმწიფომ პირველ რიგში გაიაზროს სოციალური მუშაობის, როგორც პროფესიის მნიშვნელობა, მისი აუცილებლობა. დაეთანხმოს არსებულ კანონპროექტს და რაც შეიძლება მოკლე დროში ამოქმედდეს ის, რათა შიცვალოს პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების მდგომარეობა და განვითარდეს სფერო, რაც პირდაპირ იმოქმედებს ბენეფიციარების მდგომარეობის გაუმჯობესებასა და მათთვის ხარისხიან მომსახურების მიწოდებაზე.

ძირითადი საკითხები რომლებიც, ჩემი აზრით, ასევე რეკომენდირებულია რომ დარეგულირდეს და შეიცვალოს არის.

- ყველაზე მნიშვნელოვანი, როგორც უკვე ვახსენე კანონპროექტის, რაც შეიძლება მალე მიღება. რაც გამოიწვევს სოციალური მუშაობის ცნების, არსის გაცნობას და მისი მნიშვნელობის გამოკვეთას.
- კვალფიციური კადრების დამატება და უკვე დასაქმებული პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების გადამზადება ეტაპობრივად.
- სოციალური მუშაკის სპეციალიზაციის, პროფესიული ვალდებულების და უფლებების გამოკვეთა რათა აღარ მოხდეს არევა ან გაუფასურება.

- პრაქტიკოსი სოციალური მუშაკებისთვის ფინანსური პრობლემების მოგვარება: სამგზავრო ხარჯების შემცირება, ხელფასების გათანაბრება, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება და რაც მთავარია ტრანსპორტით უზრუნველყოფა.
- ბიუროკრატიული პრობლემების მოგვარება, უფრო ნაკლები საბუთები და მეტი პრაქტიკული- ველზე მუშაობა.
- არასამთავრობო და სახელმწიფო სექტორებს შორის არსებული სამუშაო პირობების გათანაბრება, რათა აღარ მოხდეს თანამშრომლების გადასვლა.
- აუცილებელია საზოგადოების და სხვადასხვა სექტორებში მომუშავე პირების გადამზადება, მათი ინფორმირებულობის ამაღლება სოციალური მუშაობის სფეროს და როლის შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა

Day.K, Harpe.C, C. D. Weisner. (2013). *NASW Standards For Social Work Practice in Cild Welfare.* National Association of social workers.

Chandrika.K.B. (2015). *Need and Inervetion Of Social Workers in public health care services and social development.* Retrieved 03 30, 2018, from International Jurnal of Humanities and Social Science: http://www.socialwork.pitt.edu/sites/default/files/Pdf_Files/27214202684276._ijhss_need_and_intervention_of_social_workers_in_public_health__chandrika_k.b.pdf

Defining Macro Practice. (n.d.). Retrieved from

http://www.cengage.com/resource_uploads/downloads/0534640435_52807.pdf

Ed Risler, L. A. (2003). *Defining Social Work: Does the Working Definition Work Today?*

Flexner, A. (1915). *Is Social Worl a Profession?* Retrieved 04 21, 2018, from Social Welfare History: https://socialwelfare.library.vcu.edu/social-work/is-social-work-a-profession-1915/

Ioakimidis.V. (2016, 05 24). *A guide to radical social work*. Retrieved from https://www.theguardian.com/social-care-network/2016/may/24/radical-social-work-quick-guide-change-poverty-inequality

June Gary Hopps, Tony B. Lowe. (2013). *Social Work Profession: Political Context*. Retrieved from http://socialwork.oxfordre.com/view/10.1093/acrefore/9780199975839.001.0001/acrefore-9780199975839-e-622

Karen S. Knox, Andrew Marks. (2015, 03 10). *Social Work Regulation*. Retrieved from http://www.oxfordbibliographies.com/view/document/obo-9780195389678/obo-9780195389678-0196.xml?rskey=WfNuK5&result=7&q=social+worker#firstMatch

National Association of Social Workers History. (n.d.). Retrieved 05 01, 2018, from National Association of Social Workers: https://www.socialworkers.org/about

Nelson, V. J. (2008, 10 7). *Frances Feldman,pioneer in social research*. Retrieved from http://archive.boston.com/bostonglobe/obituaries/articles/2008/10/07/frances_feldman_95_pioneer_in_social_research/

Partshakadze.N. (2017). Child Protection Social Work Workforce in Georgia and Countries of CEE/CIS Region. *ახალგაზდა მკვლევართა ჟურნალი* .

Patel L, H. (2012). *International social work: work in South africa:Translating policy into practice.*

PhD., J. G. (2011, 05 19). *Social policy formulation and the role of professionals*. Retrieved 02 06, 2018, from https://www.ncbi.nlm.nih.gov/pubmed/20880087

Reisch.M. (2015, 04). *History of Social Work and Social Welfare,* . Retrieved from http://www.oxfordbibliographies.com/view/document/obo-9780195389678/obo-9780195389678-0223.xml?rskey=JV793b&result=1&q=social+worker+political#firstMatch

Roe.W. (2006). *Changing Lives: Report of the 21st Century Social Work Review.* Edinburgh: Scottish Excutive.

Shier. L.M., G. J. (2015). Subjective well-being, social work, and the environment: The impact of the socio-political context of practice on social worker happiness. *JSW* .

Social Work Administrators, Researchers, and Policy Makers. (n.d.). Retrieved from https://www.socialworklicensure.org/types-of-social-workers/administration-policy-research.html

Sprague, L. W. (2014, 01 01). *Frances Pekins Centr*. Retrieved from http://francesperkinscenter.org/life-new/

Steyaert.J. (2013, 04). *History of social Work*. Retrieved from https://historyofsocialwork.org/eng/details.php?cps=0&canon_id=149

V.Wilson, J. (2011). *THE SWEDISH SOCIAL DEMOCRATIC PARTY: SOCIAL DEMOCRATIC PRINCIPLES AND VALUES.* Retrieved from http://www.chrissmithonline.co.uk/files/swedish-sd-party-our-ideology-300810.pdf

Waterhouse.L, Asquith.S, Dr Chris Clark . (2005). *THE ROLE OF THE SOCIAL WORKER IN THE 21ST.*

What is the History of the social work. (n.d.). Retrieved 04 25, 2018, from Social Work Degree Guide: https://www.socialworkdegreeguide.com/faq/what-is-the-history-of-the-social-work-profession/

What is the History of the Social Work Profession? (2018). Retrieved from www.socialworkdegreeguide.com: https://www.socialworkdegreeguide.com/faq/what-is-the-history-of-the-social-work-profession/

What is The macro social work. (n.d.). Retrieved 02 05, 2018, from Social work degree Guide: https://www.socialworkdegreeguide.com/faq/what-is-macro-social-work/

ასოციაცია, ს. ს. (2011). სოციალური სამუშოს განვითრება საქართველოში. In *სოციალური მუშაობის სიტუაციური ანალიზი* (pp. 5-8). თბილისი.

ზურაბიშვილი, თ. (2006). *თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში.* თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

ნამიჭეიშვილი სალომე, მ. მ. (2010). *სოციალური სამუშაოს პრაქტიკის საფუძვლები.* თბილისი.

სალომე, ნ. (2014). *ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმისა.* Retrieved from https://www.wvi.org/sites/default/files/Report_Child_Welfare_Reform_GEO.pdf

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია. (2006).

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია. (2017). სოციალური მუშაობის პროფესიული რეგულირების კონცეფცია. In ს. ს. ასოციაცია, *სოციალური მუშაობის პროფესიული რეგულირების კონცეფცია* (pp. 7-16). თბილისი.

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია. (2011). *სოციალური მუშაობის სიტუაციური ანალიზი.* თბილისი: ღია საზოგადოება საქართველო.

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია. (2011). *სოციალური მუშაობის სიტუაციური ანალიზი.* თბილისი.

სოციალური კეთილდღობის პოლიტიკა:სოციალური მუშობის პერსპექტივა. (2011). თბილისი: ინტელექტი.

(2017). *სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშაკთა შრომითი პირობები და გამოწვევები.* EMC.

დანართი

სიღრმისეული ინტერვიუს გზამკვლევი

მოგესალმებით, უპირველეს ყოვლისა დიდი მადლობას მოგახსენებთ კვლევაში მონაწილეობისთვის. მოცემული კვლევა ტარდებს თსუ-ს სოციალური მუშაობის სამაგისტრო ნაშრომის, კერძოდ თემის: ''ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში მომუშავე სოციალური მუშაკების მიერ დანახული სფეროში არსებული პრობლემები და გამოწვევების.'' ფარგლებში. კვლევის ძირითადი მიზანია შეისწავლოს პრაქტიკოსი სოციალური მუშაკის მიერ დანახული სფეროში არსებული სირთულეები, რომლებსაც ისინი ყოველღიური სამუშაო პრაქტიკიდან გამომდინარე აწყდებიან. კვლევას ვატარებ მე, ხათუნა ფეტვიაშვილი. კვლევის ხელმძღვანელია ნინო შატბერაშვილი, თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი.

ინტერვიუ დაახლოვებით 40-60 წუთს გასტანს. ინტერვიუს პროცესში, ნებისმიერ დროს შეგიძლიათ შეწყვიტოთ კვლევაში მონაწილეობა; ასევე, არ უპასუხოთ თქვენთვის არასასურველ კითხვას. კვლევაში მონაწილეობა კონფიდენციალურია -კვლევის შედეგები ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ მკლევარისა და კვლევის ხელმძღვანელისთვის. სადიპლომო ნაშრომში მოცემული იქნება მხოლოდ განზოგადებული ინფორმაცია და ზოგადი დასკვნები.

კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას კვლევაში მონაწილეობისთვის.!

- სად ხართ დასაქმებული სახელმწოფო თუ არასამთავრობო სექტორში?
- თქვენი განათლება? პროფესია. პროფესიული გადამზადება თუ გაქვთ გავლილი? თქვენი აზრით არის თუ არა კვალიფიციური კადრების ნაკლებობა?
- თქვენი აზრით, რა არის და რამდენად მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკის როლი ბავშვთა კეთილდღეობის პროცესში?

- გაქვთ თუ არა საშუალება სრულფასოვნად შეასრულოთ თქვენი სამუშაო/პროფესიული მოვალეობა? რა ფაქტორები გიქმნით პრობლემას? რა შედეგი მოაქვს ამას.?
- რა კონკრეტულ ფუნქციებს ანხორციელებთ სამუშაო პროცესში? არის თუ არა განსხვავებული სოციალური მუშაობის პროფესიული მოვალეობისგან? სხვა პროფესიის ფუნქციებს თუ ასრულებთ? თუ დიახ დამატებით რა სამუშაოს ასრულებთ რაც თქვენი აზრით არ ეხება ამ პროფესიას? არის თუ არა ეს პრობლემა?
- ვინ არიან თქვენი ბენეფიციარები?
- რა მოლოდინებით მოდიან თქვენთან ბენეფიციარები ?
- ძირითადად, რა საკითხებზე მოგმართავენ? აქვთ თუ არა ჩამოყალიბებული კონკრეტული გეგმები?
- არის თუ არა რეალური თქვენი გადმოსახედიდან ეს მოლოდინები და მოთხოვნები ??
- რა სერვისებს სთავაზობთ მომსახურებით მოსარგებლეებს?
- რა სიხშირით დადიხართ ბენეფიციარებთან ვიტიტებზე? არის თუ არა საკმარისი? რატომ არის ეს პრობლემა?
- თქვენი აზრით, რომელ დონეზეა სოც მუშაკის პროფესიული საქმნიანობა უფრო ეფექტური?(მაკრო /მიკრო/ მეზო/) რატომ?
- თქვენი აზრით, ძირითადად რომელ დონეზე ასრულებთ სამუშაოს? არის თუ არა ეს საკმარისი? რას გაუმჯობესებდი? (თუ არარის საკმარისი რა პრობლემებს ქმნის?)
- რა სახის გამოწვევებსა და სირთულეებს აწყდებით ყოველდღიურად მუშაობის პროცესში? არის თუ არა სერვისების ნაკლებობის პრობლემა? (თუ კი კონკრეტულად რომლების და რა სირთულეს აწყდებით ამის გამო)
- სისტემის რომელ დონეზე გხვდებათ უფრო მეტი სირთულე მაკრო მიკრო მეზეო დონეებზე? ართულებს თუ არა ეს პრობლემები ბენეფიციარის მდგომარეობას? აღწევთ თუ არა სასურველ შედეგს.

- სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორში მომუშავე სოციალური მუშკების სამუშაო პირობებს შორის არის თუ არა განსხვავებები თქვენი აზრით? რა განსხვავებებია ? არის თუ არა დატვირთვის მხრივ განსხვავებები? თუ ქმნის ეს განსხვავებები პრობლემას ? შანსი რომ გქონდეთ თუ გადახვიდოდით კერძო/სახელმწიფო სექტორში? რა მიზეზით?
- რა ცვლილებებს შეიტანდით სამუშაო პროცესის გაუმჯობესებისათვის? რომელ დონეზე რას შეცვლიდით უკეთესი შედეგის მისაღებად და პროფესიის გასაუმჯობესებლად?
- მიგიმართავთ თუ არა მთავრობისთვის ან ხელმძღვანელისთვის რაიმე ცვლილების გატარების გამო.(რა ცვლილება თუ მიგიმართავთ? თუ არ მიგიმართავთ, რატომ? რა იყო ამის მიზეზი?.
- როგორ ხედავთ სოციალური მუშაკის როლს ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში? რა ცვლილებებს საჭიროებს სფერო ? რა სურათია დღეს და რამის შეცვლას თუ ისურვებდით? რას შეცვლიდით?თქვენი რეკომენდაციები

დანართი 2

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ს/კ 202178927

MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

Legal Entity of Public Law

SOCIAL SERVICE AGENCY

KA030488289070618

საქართველო, თბილისი 0119; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

№ 04/38743 **05 / ივლისი / 2018 წ.**

მოქალაქე ხათუნა ფეტვიაშვილს

მისამართი: ქ. თბილისი, თემქა, მე–11 მკ/რ, 1 კვარტალი, კორპ. 11, ბ.48

ელ–ფოსტა: khpetviashvili@gmail.com

ქალბატონო ხათუნა,

თქვენი 2018 წლის 27 ივნისის N61866 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სსიპ–სოციალური მომსახურების სააგენტოში დასაქმებულია სულ 18 (თვრამეტი) უფროსი სოციალური მუშაკი და 217 (ორას ჩვიდმეტი) სოციალური მუშაკი.

პატივისცემით,

დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

თენგიზ აბაზაძე

დანართი 3

http://172.17.8.32/nomfileserver/GetFile?file_id=4002910658994...

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საჯარო სამართლის იურიდიული პირი სოციალური მომსახურების სააგენტო	MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA Legal Entity of Public Law SOCIAL SERVICE AGENCY
ს/კ 202178927	KA030488932711917

საქართველო, თბილისი 0119; აკ.წერეთლის გამზ. 144, ტელ.: (+995 32) 510 047, 510 048, 510 049

144 Ak. Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 047, 510 048, 510 049

№ 04/14006

09 / მარტი / 2017 წ.

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის დირექტორს ქალბატონ თამთა მიქელაძეს

მისამართი: თბილისი, ი. აბაშიძის 12ა

ქალბატონო თამთა,

თქვენი 2017 წლის 14 თებერვლის N301/7012017 წერილის თაობაზე გაცნობებთ შემდეგს:

1. სოციალური მომსახურების სააგენტოში უფროსი სოციალური მუშაკები და სოციალური მუშაკები დასაქმებულნი არიან უვადო შრომითი ხელშეკრულებით, სამტატო განრიგის შესაბამისად.

2017 წლის მოქმედი სამტატო განრიგის შესაბამისად, უფროსი სოციალური მუშაკის თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება -1000 (ათასი) ლარის ოდენობით, თბილისის სოციალური მუშაკის - 850 (რვაას ორმოცდაათი) ლარის, ხოლო ტერიტორიულ ერთეულებში - 800 (რვაასი) ლარის ოდენობით.

2. 2017 წლის 2 მარტის მდგომარეობით, სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოში სულ დასაქმებულია 19 (ცხრამეტი) უფროსი სოციალური მუშაკი და 219 (ორას ცხრამეტი) სოციალური მუშაკი. მათ შორის: დედაქალაქში 8 (რვა) უფროსი სოციალური მუშაკი და 62 (სამოცდაორი) სოციალური მუშაკი ხოლო, ტერიტორიულ ერთეულებში – 11 (თერთმეტი) უფროსი სოციალური მუშაკი და 157 (ას ორმოცდაჩვიდმეტი) სოციალური მუშაკი. დეტალური ინფორმაცია ტერიტორიული ერთეულების მიხედვით იხილეთ N1 დანართში.

3. უფროსი სოციალური მუშაკისა და სოციალური მუშაკის სამუშაო აღწერილობა იხილეთ დანართი N2-4 სახით.

4. სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს შრომის შინაგანაწესის შესაბამისად, სააგენტოში დასაქმებულთა სამუშაო დღის ხანგრძლივობა განისაზღვრება 8 საათით. თუმცა, სოციალური მუშაკის სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებული შემთხვევების მომართვიანობისას, დღის ნებისმიერ მონაკვეთში უწევთ ველზე მუშაობა. შესაბამისად, სააგენტო, ამ ეტაპზე, მოკლებულია სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობას, მათი სამუშაო მოცულობის საშუალო მაჩვენებლის თაობაზე.

http://172.17.8.32/nomfileserver/GetFile?file_id=4002910658994...

7. 2012-2017 წლებში მოწაცვლეობის გათვალისწინებით, სააგენტოში ფაქტობრივად დასაქმებულ უფროს სოციალურ მუშაკთა და სოციალურ მუშაკთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენდა 245 (ორას ორმოცდახუთს), რაც შეეხება უფროს სოციალურ მუშაკთა და სოციალურ მუშაკთა სამუშაოდან გათავისუფლებას, პირადი განცხადების საფუძველით, 2012-2017 წლებში გათავისუფლდა სულ 78 (სამოცდათვრამეტი), ხოლო შრომითი ურთიერთობა, სხვადასხვა საფუძვლით შეუწყდა 15 (თხუთმეტი) უფროს სოციალურ მუშაკს და სოციალურ მუშაკს. დეტალური ინფორმაცია იხილეთ N3 დანართში.

8. სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტო, ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის მიზნით, ყველა სახის საჯარო ინფორმაციას (მათ შორის სამართლებრივ აქტებს) პროაქტიულად აქვეყნებს სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე - ssa.gov.ge. შესაბამისად, თქვენ მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია ზემოაღნიშნულ ვებ-გვერდზე.

პატივისცემით,

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე

ზაზა სოფრომაძე

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

KhatunaPetviashvili

Problems and challenges which is seen by social workers' those who are working in child welfare field

Social Work

Master Thesis is done to obtain the Master's Degree in Social Work

Supervisor: Nino Shatberashvili

Professor of Faculty of Social and Political Sciences of TSU

Tbilisi

2018